



# მეცხეთის უნივერსიტეტი

№ 5 (261) მაისი, 2019 წელი

ბამოლის 1990 წლის დეკემბერიდან



## პროფესორ-მასწავლებელთა და დოქტორანტთა სამეცნიერო კონფერენცია

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 19 მაისს, გაიმართა პროფესორ-მასწავლებელთა და დოქტორანტთა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, პროფესორმა მერაბ ბერიძემ გახსნა, 1991 წელს მესხეთის ფილიალში გამართული პირველი რესპუბლიკური კონფერენცია გაიხსენა და აღნიშნა, რომ მისთვის ძალიან სასიამოვნოა, სამეცნიერო კონფერენციების ტრადიცია რომ გრძელდება უნივერსიტეტში, ამასთან, დიდი წარმატებით. მან ნაყოფიერი მუშაობა უსურვა კონფერენციის მონაწილეთა და მისალმებისთვის სიტყვა გადასცა უნივერსიტეტის რექტორს, ასოცირებულ პროფესორს მაკა ბერიძეს: სწორედ, 90-იან წლებში ჩაყრილი საფუძველია წინაპირობა იმ კონფერენციებისა, რომელსაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი სისტემატურად მართავს. ეს არის სწორი გზა, რო-

მელიც შეიძლება წლების განმავლობაში უნივერსიტეტს აერჩია. 2014 წლიდან კონფერენციების მომსახურებელთა რიცხვს დოქტორანტები შეუერთდნენ. სრული პასუხისმგებლობით მინდა განაცხადო – ის პერსპექტივა, რომელიც დოქტორანტებს ამ უნივერსიტეტში აქვთ, ძალიან დიდია და ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს იმისთვის, რომ ისინი აღმოჩნდნენ საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებში.

რექტორმა დამსწრე საზოგადოებას უნივერსიტეტის მისიის სამუშაო ვერსია გააცნო და სთხოვა თითოეულს, საკუთარი ხედვები ელექტრონული თუ ხელნაწერი სახით უნივერსიტეტს მიანდოს. მისია, ეს არის უნივერსიტეტის განაცხადი, რომლითაც ის საზოგადოებას უმტკიცებს თავისი არსებობის მნიშვნელობას, რომლითაც ის აკეთებს განაცხადს, რომ მთელი განმასხვავებელი ნიშნები აქვს საქართველოს სხვა უნივერსიტეტებთან შე-

დარებით, რომ მისი არსებობის მთავარი საფუძველია – საიდან მოდის, რა უნდა და საით უნდა წავიდეს.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ ფაკულტეტების დეკანები, პროფესორები: გულიკო ბეჟაური, ცისკარა ზარანდია, მალხაზ ლომსაძე, ლერი ნოზაძე. მათ ბაკალავრთა და მაგისტრანტთა კონფერენციაში მონაწილე წარმატებულ სტუდენტებს სერტიფიკატები გადასცეს.

შემდეგ კონფერენციის მუშაობა გაგრძელდა სექციებში: ქართული ენის სექცია; ქართული ლიტერატურის სექცია; ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის სექცია; პედაგოგიკისა და ენების სექცია; ეკონომიკისა და ბიზნესის სექცია; ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სექცია; ასტრონომიის სექცია; სამართლის სექცია.

გაგრძელება მე-2 გვ.

## „მანათლავის თანამედროვე გამოწვევა“



## „თავიდან რომ დაიწყებინა სსოვნება, ბავჩი ჩაბას უპყვილი... უსვლელი დანჯაოლა მხოლოე პინსიუაუი!“

უჩა ბლუაშვილი – 70



ძალადი ღიბულებების ერთგული მსახური

## ეფტინატიის ინტეგრირებული სამაგისტრო-საგანმანათლებლო პტოგტამის პტყზნცაცია

მუხრან მაჭავარიანის წერილი უცხოეთში მყოფი ვაჟისადმი



კვიციანი ბასილის გაცემა 83.10

## ERASMUS + ASSET პროექტის ფარგლებში განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების პილოტირება იწყება



83.11 დასაქმების უოკუპი ~ 2019



ნიშნი – მოქალაქეთა შთაქმავლოისათვის 83.10





ტული თემისადმი მიძღვნილი, ძალიან საინტერესოდ გადაიკვეთა ორი-სამი მოხსენება. თვითონ მოხსენებლებმა ცალმხინეს და კამათშიც ითქვა ეს – ნანა ჯღარკავას, რაისა ხაჩატურიანისა და ვახტანგ თაქთაქიძის მოხსენებები, სადაც ინდექსები იყო განხილული. ადამიანის ჰუმანური განვითარების ინდექსი, ზოგადად, ჩაშლილია ქვეინდექსებად, ჰუმანური განვითარების მაჩვენებლების დინამიკის ცალკეული ასპექტები გადაიკვეთა განვითარებული ქვეყნების ზოგირით სოციალურ-ეკონომიკურ იმაჩვენებლების შეფასების საკითხებში.

**ბატონმა დავით ბიძინაშვილმა** კიდევ ერთი აქტუალური პრობლემა წამოჭრა. მოგვხსენებათ, ყველა ვსარგებლობთ სამომხმარებლო სესხებით, ეროვნული ბანკის მიერ გატარებულმა ხისტი პოლიტიკამ განაპირობა გარკვეული ეკონომიკური აქტიუბის შესუსტება, საცალო ვაყიდვები შემცირდა როგორც უძრავ სექტორში, ასევე, წმინდა სამომხმარებლო ბაზარზე იმიტომ, რომ ბანკები ასე ევიცადებულა გასცემენ სესხს. ასეც აქტუალური საკითხია. თუმცა, ეროვნული ბანკი აცხადებს, რომ ეს არის არა ერთნაირი პერიოდზე, არამედ გრძელვადიანი პერიოდზე გათვლილი და მიმართულია მოსახლეობის ჭარბვალუბის აღმოსაფხვრელად.

**ბატონმა როინ თათაშვილმა,** ასევე, საინტერესოდ წარმოადგინა რეფორმებისა და ეკონომიკური აქტივობების ზრდის ტენდენციების ურთიერთკავშირი, ბატონმა გიორგი ბუცხრიკიძემ ქონების დაყოფის რეგისტრაციის შემდგომ წამოჭროა ფინანსურ პრობლემებზე ისაუბრა საინტერესოდ.

საერთო ჯამში, კონფერენციაში წარმატებით შეასრულა თავისი მისია.

**ირმა ძურღაძე, პედაგოგიკისა და ენების სექციის ხელმძღვანელი, პროფესორი:**

ჩვენმა სექციამ იმუშავა წარმატებით. დავინახეთ თანმიმდევრობით. ძალიან სასყენია, რომ სექციაზე წარმოსადგინა 12 მოხსენებიდან მხოლოდ 7 იყო ნაკითხული. თუმცა, ამ შემთხვევაში, რაოდენობა მცირეა, მაგრამ ხარისხი არის ძალიან მაღალი და ამას სრული პასუხისმგებლობით ვაქცხადებ. დავინახეთ განათლების ისტორიიდან. ჩემთვისაც იყო სიახლე ის, რომ თურმე სოფელ მუსხში ყოფილა ერთ-ერთი უძველესი სკოლა, რომლის შესახებ ქალბატონ ნატო ყრუაშვილს ჰქონდა საინტერესო მოხსენება – **„განათლების უძველესი კერის – მუსხის სკოლის ისტორიის შესწავლისათვის“**. ძალიან ბევრი საინტერესო რამ გავიგეთ ამ სკოლის შესახებ.


საინტერესო იყო ქალბატონი გულიკო ბეჭაშვილის მოხსენება – **„მოტივაციის როლის სწავლასწავლების პროცესში“**; მოტივაცია, რომელიც, ასევე, განსაზღვრავს ჩვენს ყოველდღიურობას, ჩვენს ხედვებს, ჩვენს აზროვნებას და ესეც იყო ძალიან საინტერესო.

ასევე, ძალიან საინტერესო იყო მარენ ნათენაძის მოხსენება – **„პროგრამირების ინფორმაციის სწავლება სკოლაში“**. ასეც არის ახალი პროექტი და განათლების სამინისტრო ინყებს მის განხორციელებას სექტემბრიდან.

ქალბატონ ნანა ლომინაშვილს წარმოუდგენილი ჰქონდა – **„პროექტების სწავლების მნიშვნელობა ქართულ ენასა და ლიტერატურაში“**. პროექტებით სწავლება არ არის ახალი, თუმცა, მას ჰქონდა დანახული სხვა რაჟურსით და ჰქონდა თავისი პრაქტიკა, რაც ძალიან საინტერესო იყო ჩვენთვის.

ქალბატონ ლალი ბერიძის მოხსენება **„ლიტერატურული ტექსტზე მუშაობა გერმანული ენის სწავლების პროცესში“** საინტერესო იყო ჩვენთვის იმ თვალსაზრისითაც, რომ მას ჰქონდა მომავალ მასწავლებლებთან ინტერპერტირების პროცესები და ახალი რაკურსით დანახული.

**ქალბატონ მარინე შონიას** ჰქონდა ძალიან საინტერესო თემა – **„პანთურქიზმის იდეები ჰალიდე ედიფ ადიფარის რომანში „ახალი თურანი“**. ბევრი რამ ჩემთვის, ასევე, იყო სიახლე, რაც მან წარმოადგინა ამ რომანის შესახებ. მინდა ვითხრათ, რომ იყო ძალიან ცხოველი ინტერესი ყოველი მომხსენებლის მიმართ, იყო დებატები, იყო ბევრი სიახლე და მე ვფიქრობ, რომ ჩვენმა სექციამ წარმატებით იმუშავა. და ბოლოს, ახალი სკოლის მოდელის შესახებ მოგახსენებთ,



თქვენც რომ იყოს საქმის კურსში. სექტემბრიდან სკოლებში მთელი რიგი რეფორმა განხორციელდება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პენსიონერ მასწავლებლებს შესთავაზა ორი წლის ხელფასი, ხოლო იმ მასწავლებლებს, რომლებმაც ძალიან ბევრჯერ ვერ დაადასტურეს თავისი საქმის კომპეტენცია, ძალიან კარგი შეთავაზება აქვთ – **ჯანმრთელობის პაკეტი** ისიცოცხლის ბოლომდე. ასევე, პრაქტიკოს მასწავლებლებს მისცეს ორჯერ ჩაბარების უფლება და თუ ისინი ვერ დააკმაყოფილებენ ამ მოთხოვნებს, ისინი გადაყავთ უკვე სხვა პირობებზე. ეს ჩვენი უნივერსიტეტისათვის არის ძალიან საინტერესო იმ გაგებით, რომ ბევრი ახალი ვაკანტური ადგილი ჩნდება და ჩვენს მომავალ მასწავლებლებს აქვთ საშუალება, დასაქმდნენ საჯარო სკოლაში. ამ ეტაპზე ეს შესაძლებელი იყო. ძალიან ბევრი სიახლე მიმდინარეობს. ამას ჰქვია ახალი სკოლის მოდელი და ეს ყველაფერი წარმოადგენილი იყო ჩვენს სექციაში.

**რევაზ შიღლაძე, ასტრონომიის სექციის ხელმძღვანელი, პროფესორი:**

სექციაზე, პრაქტიკულად, შეჯამდა დოქტორანტების მიერ თავიანთი სადისერტაციო თემების დამუშავების დღევანდელი მდგომარეობა; ყველა დოქტორანტმა წაიკითხა მოხსენება თავისი სადისერტაციო თემიდან. მათ დავალებული ჰქონდათ, ეპასუხათ კითხვებისათვის: რამდენი საერთაშორისო დონის პუბლიკაცია აქვთ დღეისათვის, მათ შორის, რამდენი ეხება თვითონ დისერტაციას და რამდენი ციტირება აქვთ, საერთაშორისო მას-

შტაბით, მათ სამეცნიერო შრომებს, რამდენ საერთაშორისო კონფერენციაში მიუღიათ მონაწილეობა, რა ფაზაში აქვთ დისერტაცია.

**სოფია ბერადის** თემა იყო **„მასიური ვარსკვლავები“**. სადისერტაციო თემის გარშემო გამოქვეყნებული აქვს საერთაშორისო გამოცემებში 14 სამეცნიერო შრომა, აქედან, უშუალოდ, დისერტაციას ეხება 10; სამი მოხსენება წაიკითხა საერთაშორისო კონფერენციებზე, დისერტაციის მეტი ნაწილი შესრულებული აქვს. არის რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტიორი.

**ანა გელაშვილის** თემა გახლდათ **„მზის ფოტოსფეროსა და კორონის თანამედროვე კვლევები“**. სადისერტაციო თემის გარშემო გამოქვეყნებული აქვს საერთაშორისო გამოცემებში 1 სამეცნიერო შრომა, რომელიც

უშუალოდ დისერტაციას ეხება. დისერტაციის უმეტესი ნაწილი შესასრულებელი აქვს.

**მანანა ვარდოსანიძემ** წარმოადგინა თემა **„შერჩეული მჭიდრო ორჯერადი სისტემების შესწავლა“**. სადისერტაციო თემის გარშემო გამოქვეყნებულია საერთაშორისო გამოცემებში 17 სამეცნიერო შრომა, აქედან უშუალოდ დისერტაციას ეხება 12; საერთაშორისო კონფერენციებზე წაიკითხა 3 მოხსენება. დისერტაციის უმეტესი ნაწილი შესრულებული აქვს. არის რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტიორი.

**გივი კახანაძემ** წაიკითხა თემა **„დედამიწასთან მოახლოებული ასტროიდები“**. სადისერტაციო თემის გარშემო გამოქვეყნებული აქვს საერთაშორისო გამოცემებში 8 სამეცნიერო შრომა, 1 მოხსენება წაიკითხა საერთაშორისო კონფერენციაზე. დისერტაციის გარკვეული ნაწილი შესრულებული აქვს. არის რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტიორი.

**გივი ქიმრიძემ** წარმოადგინა თემა **„შერჩეული ბლაზარების ფოტომეტრული შესწავლა“**. მას გამოქვეყნებული აქვს საერთაშორისო გამოცემებში 85 სამეცნიერო შრომა; აქედან, უშუალოდ, დისერტაციას ეხება – 12, ხოლო 3 მოხსენება წაიკითხა საერთაშორისო კონფერენციებზე; საერთაშორისო გამოცემებში მის სამეცნიერო შრომებს 3000-ზე მეტი ციტირება აქვს. დისერტაცია და მისი გაფორმებაც უკვე დასრულებული აქვს. არის რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტიორი.

**რომან ივანიძის** თემა იყო **„მსოფლიოში ყველაზე სრულყოფილი მთვარის მრავალპარამეტ-**

**რიანი ატლასი“**. სადისერტაციო თემის გარშემო გამოქვეყნებული აქვს საერთაშორისო გამოცემებში 8 სამეცნიერო შრომა; მათგან, უშუალოდ, დისერტაციას ეხება 6, საერთაშორისო კონფერენციაზე წაიკითხა 1. საერთაშორისო გამოცემებში მის სამეცნიერო შრომებს აქვს 178 ციტირება. დისერტაციის მნიშვნელოვანი ნაწილი შესრულებული აქვს. ადრეც რამდენჯერმე იყო რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტიორი.

**ელეონორე ჯანიაშვილის** წარმოადგენილი თემა **„გახლდათ ევოლუციური ტიპის ბნელმადი ორჯერადი სისტემების შესწავლა“**. სადისერტაციო თემის გარშემო გამოქვეყნებული აქვს საერთაშორისო გამოცემებში 19 სამეცნიერო შრომა; მათგან, უშუალოდ, დისერტაციას ეხება 12, საერთაშორისო კონფერენ-

ციებზე კი 3 მოხსენება წაიკითხა. საერთაშორისო გამოცემებში მის სამეცნიერო შრომებს აქვს 85 ციტირება. დისერტაცია, პრაქტიკულად, დასრულებულია. არის რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტიორი.

დასასრულს მინდა შევნიშნო, რომ დოქტორანტებთანაც, რომლებმაც ვერ მოახერხეს კონფერენციაში მონაწილეობის მიღება (ობიექტური მიზეზების გამო), ანალოგიური მდგომარეობა – აქვთ ათობით სამეცნიერო შრომა გამოქვეყნებული რეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში და არიან რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტიორები.

**ლირა ნოზაძე, ინჟინერიის, აგარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სექციის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი:** ჩვენს სექციაზე წარმოადგენილი უნდა ყოფილიყო 12 მოხსენება, მოვისმინეთ 11, მათგან 6 – დოქტორანტის. პირველ რიგში, დოქტორანტების შესახებ მინდა მოგახსენო. **ნინო ბერიძის** მოხსენება დღევანდელი თემაა ეხება – **„OLAP კუბის შექმნა და მასზე ოპერაციების შესრულება მონაცემთა ანალიზისთვის“**. ნინომ საკმაოდ კარგად გააშუქა თემა, რაც იმას ნიშნავს, რომ სადისერტაციო ნაშრომზე სერიოზული შედეგები აქვს. შემდეგ მოვისმინეთ **მთვარისა ქურციკიძის** მოხსენება – **„მოზილური ტელეფონის ელექტრომაგნიტური გამოსხივების გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე“**. წარმოადგენილი იყო უამრავი სლაიდი. ბევრი რამ შევითქვეთ იმის შესახებ, როგორ

უნდა გამოვიყენოთ ტელეფონი, ნაკლები დასხივება რომ მივიღოთ.

ქალბატონმა **ჯულიეტა ტაბეშაძემ** წარმოადგინა მოხსენება – **„ციფრული სიგნალის დამუშავების რამდენიმე პრაქტიკული ასპექტი“**. როდესაც მიმღებში გამოსახულა მიიღება, გზაში ის განიცდის დამახინჯებას. დამახინჯების აღსადგენად მან შექმნა საკუთარი ციფრული ფილტური, ეგრეთ ნოდებული – ეკვალიზატორი, ჩაატარა ექსპერიმენტები ამ ფილტურზე და შედეგად გვაჩვენა დამახინჯებული ფილტურების საწყისი სახე.

თემაზე – **„სეტყვა, როგორც საშიში მეტეოროლოგიური მოვლენა სამცხე-ჯავახეთში“** მოხსენება წარმოადგინა დოქტორანტმა **თამარ წარიმანიშვილმა**. რა პრევენციული ზომები შეიძლება გატარდეს, რომ დავიცვათ თავი ამ მავნე მოვლენისაგან, ამის შესახებ გვესაუბრა იგი და თემა რომ ჩვენი რეგიონისთვისაც ძალიან საყურადღებო და მნიშვნელოვანია, კიდევ უფრო დავრწმუნდით. ასევე, საინტერესოდ იყო გაშუქებული დოქტორანტის **ელისო მურადაშვილის** თემა – **„სამხრეთ-ამერიკული მენადლე ჩრჩილის მასპინძელი სარეველა მცენარეები“**. მე მაშინვე გამიჩნდა კითხვა – ჩვენამდე როგორ მოაღწია მეტი ამ ჩრჩილმა და მივიღე პასუხი – საზღვრები გახსნილია და უამრავ ტვირთს, რომელიც შემოდის ჩვენთან, მოყვება... კონტროლი რომ უნდა გაძლიერდეს ამ მიმართულებით, ეს საკითხია დასმული მოხსენებაში. საინტერესოა, როგორ შეასრულებს ბოლომდე დოქტორანტი ამ კვლევით სამუშაოს.

ქალბატონმა **მზია ლობჯანიძემ** ისაუბრა თემაზე – **„სამკურნალო მცენარეები სამღებრო წარმოებაში“**. მას დეტალურად აქვს გამოკვლეული, რომელი ფერი რომელი მცენარის გამოყენებით შეიძლება მიიღოს.

რაც შეეხება მოხსენებას – **„VAKE – ლირელებებისა და ცოდნაზე დაფუძნებული სწავლება“**, ეს თემა იქნა წარმოდგენილი ასოცირებული პროფესორის **ლელა ნითაშვილის** მიერ. ქალბატონმა **ლელა ნითაშვილი, დიანა მიქელაძე** და **თამარ კახაიაძე** ერთად გახლდნენ საზღვარგარეთ კონფერენციაზე წარმოდგენილ მოხსენებელი ჩვენი დასკვნების თანამშრომელია, ამიტომ ჩვენს სექციაში წარადგინა მან ეს თემა.

**მალხაზ წარიმანიშვილმა** მოგვხსენა **„მიწათმოქმედის წყლის რეგიონის შეცვლა ადამიანის სამეურნეო საქმიანობით“**. აღინიშნა, რომ 2020 წლისთვის, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში თურმე უნდა აშენდეს 11 მცირე ჰესი. ამ საკითხმა გამოიწვია კამათი და დავაანონსებ – შემდგომი კვლევების თემას: „ელექტრო-ენერგია უფრო მეტი გვჭირდება თუ წყლის რესურსები?“ საკითხი კარგად უნდა იქნას გამოკვლეული.

**„შუალედური კულტურების როლი მეცხოველეობის საკვების ბაზის გაუმჯობესების საქმეში“** – ამ თემის წარმომდგენი გახლდათ ასოცირებული პროფესორი **ზაირა ტყეშუაშვილი**. ყურადღება იყო გამახვილებული ტრიტიკალის შუალედურ კულტურად გამოყენების შესახებ ჩვენს რეგიონში, რომელია უმჯობესი – მისი გამოყენება მწვანე საკვებად თუ მარცვლად, დეტალური საკვების მარცვლის შექმნის თემა იყო: მწვანე საკვებად იმ გაგებით, რომ პირუტყვი ნოყიერ საკვებს მიიღებს და, შესაბამისად, ჩვენს ეკოლოგიურად სუფთა რძის



## აკადემიკოს-მეცნიერებელი და მსოფლიოში მისი როლი

მე-3 გვერდიდან

პროფესორები გვეყენებენ და მისი შუალედური წარმოება მომგებიანი იქნება.

მე თავად „გადამწყვეტილების მიღების არაფორმალური მეთოდების“ შესახებ მოვასხენე კონფერენციის მონაწილეთ.

თინა ივლიაშვილი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის სექციის ხელმძღვანელი, პროფესორი:

სექციის 12 მომხსენებელი იყო, არ გამოცხადდა მხოლოდ ერთი, ავადმყოფობის გამო. პირველ რიგში მიხდა ალენიშვილი, რომ მე ასეთი აქტიური ჩართვა თითოეული მონაწილისა ყოველ მოხსენებაში, შეკითხვებისა და პასუხების სახით, კარგა ხანია, კონფერენციებზე არ მიხანავს. თანამშრომლებზე აღარაფერს ვამბობ, ხაზი მიხდა გავუსვა დოქტორანტების აქტიურ ჩართვას. თითოეული დოქტორანტი თავისუფლად საუბრობდა პრობლემებზე, თავისუფლად პასუხობდა დასმულ კითხვებს. თითოეულის მომზადება არა მხოლოდ თავის კონკრეტულ თემაზე, არამედ, ზოგადად, ისტორიულ საკითხებზე, არაჩვეულებრივად იყო წარმოდგენილი. ასეთი შემთხვევები იშვიათად არის კონფერენციებზე. თანამშრომლებზე აღარაფერს ვამბობ იმიტომ, რომ მათვე, ერთი გამოკლებით, შეიძლება ითქვას, მოხსენებებმა ჩაიარეს უმაღლეს დონეზე. მაღლობა ყურადღებისათვის.

მალხაზ ლომსაძე, სამართლის სექციის ხელმძღვანელი, პროფესორი:

სამართლის სექციაზე უნდა მოგვესმინა 10 მოხსენება. არ გამოცხადდა 3. უნდა გითხრათ, რომ ყველა მოხსენება იყო აქტუალური, ცხარე კამათი მიმდინარეობდა ცალკეულ საკითხზე. **ზვიად გოგრიჭიანი** ნაიკითხა თემა – „ქონების ჩამორთმევის საკითხი სს კანონმდებლობაში“. მომხსენებელი მივიდა დასკვნამდე – იმისათვის, რომ კანონი იყოს სამართლიანი, აუცილებელია ჩამორთმეული ქონების ექვივალენტი უნდა იყოს მიყენებული ზიანის ოდენობისა.

ალექსანდრე ლევიშვილის მოხსენება – „ძალადობა ოჯახში და მისი შედეგები“, თავისთავად, წმინდა კრიმინოგენული ხასიათის იყო და, ძირითადად, ოჯახური დანაშაულის გამოწვევები მიზეზებსა და მის ხელშემწყობ პრიორიტეტებზე ისაუბრა.

ჩემი მოხსენება ეხებოდა თემას – „პასუხისმგებლობა დაუმთავრებელი დანაშაულისათვის“. მოხსენებაში კონკრეტულად მქონდა დახასიათებული, თუ რომელი დაუმთავრებელი ქმედება იწვევს სისხლის სამართ-

ლებრივ პასუხისმგებლობას და აქვე მქონდა მითითება, რომ მცდარი იყო იმ მცნებებზე, რომლებიც დაუმთავრებელი დანაშაულის ნაირსახეობად თვლიდნენ, ეგრეთ წოდებულ, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელისაღებას და დავასაბუთებ, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელისაღება შესაძლებელია მხოლოდ მომზადების ან მცდელობის სტადიაზე.

ნელი ლონლაძის თემა გახლდათ – „ქალი, როგორც სამეცნიერო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი ბერძნულ-რომაული სამართლის მიხედვით შუა საუკუნეებში“. აქაც წმინდა სამართლებრივი საკითხი იყო დასმული, თუ როგორ წყდებოდა შუა საუკუნეებში მემკვიდრეობის საკითხი ქალის მიმართ ბერძნული და რომაული სამართლის მიხედვით.

შემდეგი გამომსვლელი იყო დავით ხობულაძე. მას ჰქონდა ორი მოხსენება – „ადმინისტრაციული სახელმწიფოს ცნება და მიზნები“ და „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემადგენლობა, ცნება, ელემენტები და სახეები“. ეს ორი თემა, ძირითადად, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სახელად ცხდის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. სიმართლე გითხრათ, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, როგორც საგანი, როგორც სახელად დისციპლინა, რეალურად არსებობს, რა თქმა უნდა, სამართლის საბაკალავრო პროგრამებში, მაგრამ სახელმძღვანელო არაა შექმნილი და უკეთესი იქნება, თუ დავით ხობულაძე ამ მიმართულებით იმუშავებს.

შემდეგი გამომსვლელი იყო გიორგი ხუნაშვილი. მისი თემა იყო ასეთი – „კანონიერი წილის პრინციპის გამოყენება ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გაუქმებისას“. გიორგიმ დაასაბუთა, თუ რა როლს თამაშობს გამოყენებული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გაუქმებაში კანონიერი წილი.

საერთო ჯამში, ჩვენი სექციის მუშაობა შეფასდა დადებითად და ვეცდებით, შემდეგში უკეთესად განვახორციელოთ ჩვენი მოვალეობები და უფრო ავამაღლოთ ჩვენი მეცნიერული დონე.

სექციის ხელმძღვანელების გამოსვლის შემდეგ უნივერსიტეტის რექტორმა – მაკა ბერიძემ, მაღლობა მოახსენა კონფერენციის მონაწილეთ, განსაკუთრებით – დოქტორანტებს, მასში აქტიური მონაწილეობისათვის, საორგანიზაციო კომიტეტის თითოეულ წევრს კონფერენციის მაღალ დონეზე ორგანიზებისთვის და შემდგომი წარმატებები უსურვა მათ.

ჩვენი კორესპონდენტი

## გამოვიდა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის – „ASTRONOMY & ASTROPHYSICS (CAUCASUS)“, №4 ნომერი, რომელიც ეძღვნება მსოფლიოში აღიარებული მეცნიერის, აკადემიკოს ვიქტორ აბარცუმანის დაბადებიდან 110 წლის იუბილს.

აკადემიკოსი ვიქტორ აბარცუმანი დაიბადა ქ. თბილისში, 1908 წლის 18 სექტემბერს, დაამთავრა საქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტი. მუშაობდა ვარსკვლავთ ასტრონომიაში, თეორიულ ასტროფიზიკაში, ვარსკვლავთ დინამიკაში, ვარსკვლავებისა და ნისლეულების ფიზიკაში, ვარსკვლავთ კოსმოგონიაში. მან უდიდესი წვლილი შეიტანა მათემატიკური ფიზიკის განვითარებაში, აღმოაჩინა ახალი ტიპის ობიექტები გალაქტიკაში, რომლებსაც უწოდა „ვარსკვლავთ ასოციაციები“.

1946 წელს, ვიქტორ აბარცუმანი დააარსა ბიურაკანის ასტროფიზიკური ობსერვატორია, რომლის დირექტორი იყო 1988 წლამდე. 1947-1993 წლებში იყო სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, 1961-1964 წლებში იკავებდა საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის პრეზიდენტის პრესტიჟულ თანამდებობას.

მას მინიჭებული ჰქონდა სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული გმირის, ორგზის სოციალისტური შრომის გმირის (1968, 1978), ორგზის სტალინური პრემიის ლაურეატის (1946, 1950) წოდება. სომხეთის რესპუბლიკის ერთ-ერთი ფულის კუპონურზე დატანილია ვიქტორ აბარცუმანის ბარელიეფი.

ვიქტორ აბარცუმანი იყო: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრი 1939 წლიდან, უცხოეთის მრავალი აკადემიისა და სამეცნიერო საზოგადოების წევრი, მათ შორის, ამერიკის ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის წევრი და სამეფო საზოგადოების უცხოელი წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სომხეთის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, თბილისისა და ერევნის საპატიო მოქალაქე.

ვიქტორ აბარცუმანი იყო: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრი 1939 წლიდან, უცხოეთის მრავალი აკადემიისა და სამეცნიერო საზოგადოების წევრი, მათ შორის, ამერიკის ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის წევრი და სამეფო საზოგადოების უცხოელი წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სომხეთის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, თბილისისა და ერევნის საპატიო მოქალაქე.

ვიქტორ აბარცუმანი იყო: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრი 1939 წლიდან, უცხოეთის მრავალი აკადემიისა და სამეცნიერო საზოგადოების წევრი, მათ შორის, ამერიკის ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის წევრი და სამეფო საზოგადოების უცხოელი წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სომხეთის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, თბილისისა და ერევნის საპატიო მოქალაქე.



სურათზე (მარცხნიდან) აკადემიკოსები: ილია ვეკუა, ევგენი ხარაძე და ვიქტორ აბარცუმანი.



ვიქტორ აბარცუმანს კარგი და ხანგრძლივი მეგობრობა აკავშირებდა ქართველ მეცნიერებთან, მათ შორის, აკადემიკოსებთან: ევგენი ხარაძესთან, ნიკოლოზ მუსხელიშვილთან, ილია ვეკუასთან, ვიქტორ კუპრაქესთან და სხვებთან.

სამეცნიერო ჟურნალში, გარდა ქართველი მეცნიერებისა, დაბეჭდილია სომხეთის, აზერბაიჯანისა და უკრაინის 17 მკვლევარის ორიგინალური სამეცნიერო შრომები, რომლებიც უკვე განთავსებულია ჰარვარდისა და ნასას კლასიფიკატორში.

*რედაქტორი*  
საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის „Astronomy & Astrophysics (Caucasus)“  
*რედაქტორი, პროფესორი*

## ერთი იდეის ირგვლივ მისიის საათი უნივერსიტეტში

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 22 მაისს, ყველა ლექცია, 10-დან 11 საათამდე, უნივერსიტეტის მისიის გაცნობას დაეთმო. სტუდენტებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის მისიის განხილვაში და საკუთარი მოსაზრებები დააფიქსირეს.

დღეს უნივერსიტეტი გაერთიანებულია ერთი იდეით, იდეით, რომელიც უნივერსიტეტის მისიის წარმოადგენს. ჩვენს უნივერსიტეტს უდიდესი მისია აქვს. რეგიონში მრავალფეროვანი მოსახლეობა ცხოვრობს, რელიგიური და ეთნიკური განსხვავებულები. უნივერსიტეტი ხელს უწყობს სხვადასხვა ეროვნებისა თუ აღმსარებლობის სტუდენტთა ინტეგრაციას. გარდა იმისა, რომ უნივერსიტეტი სტუდენტებს აძლევს განათლებას, იგი არის სამჭედლო, სადაც იზრდება საქართველოს და სამხრეთ საქართველოს მომავალი. მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტის მისია იცოდეს თითოეულმა სტუდენტმა. – აღნიშნა ქართული ენის პედაგოგმა ნათელა ნაცვლიშვილი ბერიძემ.

ენას – ქართულ ენას. უნივერსიტეტი გვაძლევს საშუალებას, ვისწავლოთ და ვიცხოვროთ ქართველ სტუდენტებთან ერთად. ეს უნივერსიტეტის მნიშვნელოვანი ფუნქციაა. ასოცირებულმა პროფესორმა გულიკო ბექაურმა, აღნიშნული ლექციისთვის, სტუდენტებს შესთავაზა, წარმოედგინათ პრეზენტაციები მისიის ცალკეულ პუნქტთან დაკავშირებით. ქალბატონი გულიკო ამბობს, რომ ეს მეთოდი ხელს უწყობს, სტუდენტებმა კარგად გაიაზრონ უნივერსიტეტის მისიის ცალკეული

გახლდათ ჩართული მისიის შემუშავების პროცესში, როგორც აკადემიური პერსონალი. ახლა მან მისიის სამუშაო ვერსია სტუდენტებს წარუდგინა. მისიის შექმნის პროცესში ყველამ უნდა მივიღოთ მონაწილეობა. აკრედიტაციის, ავტორიზაციის დროს აუცილებელია, ყველა სტუდენტმა იცოდეს თუ რა არის უნივერსიტეტის მისია და რა ღირებულებებზე დგას, რა ფესვებზე დგას იგი.

ასოცირებული პროფესორის ლამბირა კობაიძის ლექციაზე სტუდენტმა თამარ გუგუნიამ უნივერსიტეტის მისიის შესახებ შემდეგი განაცხადა: პირველ რიგში, ჩვენი უნივერსიტეტის არსებობას რეგიონში პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. სამცხე-ჯავახეთში ოდიტგან-



პუნქტი და თვეადაც შეიტანონ წვლილი მისიის ჩამოყალიბების პროცესში. დღეს 10-დან 11 საათამდე არის მისიის საათი უნივერსიტეტში. ეს არის მნიშვნელოვანი ფაქტი და საინტერესო მეთოდი, რომ სტუდენტებმა კარგად გაიაზრონ თუ რა დანიშნულება აქვს უნივერსიტეტს და უფრო კარგად გაიაზრონ, თუ რა სასწავლო პროცესში არიან ისინი ჩართულნი. ვფიქრობთ, ეს საათი ნაყოფიერად და საქმიანად ჩავივლის.

გოჩა აფრიამაშვილმა, ქალბატონი გულიკოს ლექციისთვის, მეგობრებთან ერთად, უნივერსიტეტის მისიის შესახებ პრეზენტაცია მოამზადა. ჩვენ გავიცანით უნივერსიტეტის მისიის სამუშაო ვერსიას. გავაკეთეთ დღევანდელი დღისთვის პრეზენტაცია. წარვადგინეთ ჩვენი მოსაზრებები, რომელთა შესახებ მოვასხენეთ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს. – გვითხრა გოჩამ.

უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ქეთევან გრძელიშვილი

ვე იყო განათლები, კულტურის კერები და ეს ტრადიცია დღესაც უნდა გავაძლიეროთ. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტი დიდი ისტორიის ფესვებზე დგას და ხელს უწყობს სხვადასხვა ეროვნების სტუდენტთა ინტეგრაციას. ასევე, უნივერსიტეტი ხელს უწყობს ადგილზე ახალგაზრდების დასაქმებას.

ასოცირებულმა პროფესორმა გულნარა ჯანოვამ აღნიშნა, რომ საინტერესო ლექცია გამოვიდა. სტუდენტებს გავაცანით სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია. ცოტა ხნის წინ, პედაგოგებმა განვიხილეთ უნივერსიტეტის მისიის სამუშაო ვერსია და ჩვენი მოსაზრებები დაავაფიქსირეთ რეკომენდაციების სახით. ამ პროცესში მნიშვნელოვანია სტუდენტთა ჩართვა, რადგან წორედ სტუდენტთა ჩართულობით უნდა შეასრულოს თავისი მისია უნივერსიტეტმა ჩვენს რეგიონსა თუ მთლიანად საქართველოში. – აღნიშნა მან.

ლიკა ზაზაშვილი







# „განათლების თანამედროვე გამოწვევები“

**კონფერენცია**, რომელიც 28 მაისს ჩატარდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რეგიონის სხვადასხვა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის პედაგოგებისთვის, მიეძღვნა თემას – „განათლების თანამედროვე გამოწვევები“. კონფერენცია პუბლიცისტურ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა გულიკო ბექაურმა გახსნა. მან მადლობა მოახსენა მასწავლებლებს აქტიური მონაწილეობისთვის და წარმატებულად დღე უსურვა. ჩვენ ამ დარბაზში სწავლა და ვებინარები სხვადასხვა ადამიანებს, მაგრამ დღევანდელი დღე განსაკუთრებით საპასუხისმგებლო უნივერსიტეტისთვის. პირველი იმით, რომ თქვენს შორის ბევრი ჩვენი კურსდამთავრებულია და მისათამბვრობა, რომ უწყვეტობა თანამშრომლობის გრძელდება. მეორე ის გახლავთ, რომ თანამედროვე განათლების რეფორმა ბევრი მოთხოვნების წინაშე გვაყენებს. ვინ თუ არა ჩვენმა უნივერსიტეტმა უნდა დავეყნოს ის პრობლემა, რაც სენსიტიურია დღევანდელი საზოგადოებისთვის. სკოლებთან ურთიერთობა უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტია, რადგან ხვალ სკოლების აღზრდილები ხდებიან ჩვენი კურსდამთავრებულები. – აღნიშნა ქალბატონმა მონაწილემ და დასძინა, რომ მასწავლებელი ყოველთვის არის ფასდაუდებელი პიროვნება, რომელზედაც არის ქვეყნის განვითარება დამოკიდებული.

მასწავლებლებს მიესალმა რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი მერაბ ბერიძე. დღეს მასწავლებლებს ბევრი კონკურსის გავლა უნევთ. როდესაც რეგიონში ცოტა სკოლა იყო და ცოტა მასწავლებელი, მათ მიმართ პატივისცემა სხვაგვარი იყო. დღეს მასწავლებელი ჩვეულებრივი წევრია საზოგადოებისა და ის კონკურენციის ყველაზე დაკმაყოფილებული ნაწილია დღევანდელ სოციალურ კონფერენციის შემდეგ, იქნებ შეიქმნას ფეისბუქჯგუფი და პედაგოგებმა გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება. სწორედ ეს არის ჩვენი მიზანი, რომ აქ დაწყებული თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდეს. კონფერენციის მონაწილეთა მიესალმა რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, პროფესორი ნიკოლოზ ახალკაცი: მივესალმები ახალ პათოსს, რომ პედაგოგის როლმა წინ წაიწია. დაისვა საკითხები, თუ რა ინვესტაცია

განათლების სექციის ხელმძღვანელმა, ასოცირებულმა პროფესორმა ლალი ბერიძემ შეამდგინა განაცხადი: განათლების სექციაზე წაკითხულ იქნა 12 მოხსენება. მინდა აღვნიშნო, რომ თემატიკა იყო მრავალმხრივი და, თითქმის, ყველა ნაშრომში პედაგოგი საკუთარ გამოცდილებას ასახავდა. პედაგოგები მსჯელობდნენ და უზიარებდნენ ერთმანეთს გამოცდილებას კლასგარეშე და არაფორმალური განათლების, სამოძრაო და თავისუფალი გაცვითლების, წიგნის კლუბების, თანამშრომლობითი სწავლებისა და მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის, უსაფრთხო სკოლის, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და

პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებდნენ სწავლების ინოვაციურ და ეფექტურ მიდგომებს, ერთმანეთს უზიარებდნენ პროფესიულ გამოცდილებას. მოხსენებები წარმოდგენილი იყო საპრეზენტაციო ფაილებით. ზოგიერთ თემას ახლდა მომხსენებლის მიერ შექმნილი მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები (მაგალითად, შექმნილი დიდი ნიგები, თეჯირი, დეკორაციები). ფაქტობრივად, ყველა მოხსენებაში გაშუქებული იყო ციფრული ინსტრუმენტები, მასწავლებელთა წარმატებული პრაქტიკის და ციფრული ინოვაციების ცოცხალი მაგალითები. განალიზებული იყო საკითხები სკოლაში სასკოლო კლიმატისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების, სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარების, სწავლა-სწავლების პროცესში ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირების მიმართულებით. სექციაზე წარმოდგენილი მოხსენებები ეხმარებოდა განათლების თანამედროვე გამოწვევებს. თითოეული მოხსენების ირგვლივ გაიმართა დისკუსია. სექციის მუშაობას ესწრებოდნენ, ასევე, პედაგოგები, რომლებმაც მომავალში მსგავს აქტივობებში მონაწილეობის დიდი სურვილი გამოთქვეს.


მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სექციის მუშაობის თაობაზე სექციის ხელმძღვანელმა, ინფორმატიკის დოქტორანტმა, ჯულიეტა ტაბეშაძემ ისაუბრა. სექციაში გვყავდა 3 მოხსენებელი და ყველა მათგანმა დააკმაყოფილა კონფერენციის თემატიკური მოთხოვნა. მოხსენებლებმა ლაგოკურად და დამაჯერებლად დაამოსცეს ცოდნა დარგობრივი საკითხების შესახებ. ერთ-ერთმა მათგანმა – ლია გორგაძემ, ბუნებისმეტყველების პედაგოგმა ოთის საჯარო სკოლიდან, წარმოადგინა საინტერესო კვლევის შედეგები, რომელიც ეხებოდა სკოლის ნაკვეთში კულტურულ მემკვიდრეობაზე და მათ მავნებელზე დაავიწყებას. მომხსენებელი გვყავდა კლდის საჯარო სკოლიდან, შორენა დონაძე და ნაქალაქევის საჯარო სკოლიდან გიორგი ზედგინძე. მათაც საკ-

ლებს სფეროში შეფერხებებს და ის, რომ პედაგოგის სოციალური მდგომარეობა მნიშვნელოვანია, ეს წინ წასწევს საერთო საქმეს. მინდა გისურვებოთ თქვენს პედაგოგიურ საქმიანობაში წარმატებები. დღევანდელი დღე არის მნიშვნელოვანი, რადგან თქვენს წინადადებას ვააჟღერებთ და გააცნობთ ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას. დაბა ასპინძის საჯარო სკოლის პედაგოგმა ნინო ფილიპვილიძემ, მადლობა მოახსენა უნივერსიტეტს კონფერენციის გამართვისთვის და შემდეგი განაცხადა: დღეს ჩემი აქ მოსვლის ერთადერთი მიზანი იყო ის, რომ მადლობა მეთქვა უნივერსიტეტისთვის. ჩემი ცოდნის საფუძველმა სწორედ ამ უნივერსიტეტში გაიღვა ფესვები. უნივერსიტეტმა საშუალება მომიცა, ფეხი აშენო იმ თანამედროვე გამოწვევისთვის, რასაც განათლების სისტემა პედაგოგებს გვთავაზობს. მინდა, ყველა პედაგოგს ვუსურვო წარმატება. კონფერენციამ მუშაობა 4 სექციად გააგრძელა: განათლების სექცია; მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სექცია; დაწყებითი განათლების სექცია; საზოგადოებრივი მეცნიერებების სექცია.

არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების აქტუალურ საკითხებზე. მინდა მადლიერება გამოთქვა თითოეული მონაწილის მიმართ კონფერენციის თემატიკასთან შესაბამისი გამოსვლების გამო. თანამედროვე სკოლის პრობლემებზე მათი მსჯელობით მომეცა იმედი, რომ რეგიონის მასწავლებლები ზრუნავენ და ძალუძთ იწრომონ სკოლის პრობლემების გადაჭრისათვის. ვფიქრობ, ამ მოხსენებების დაბეჭდვა იქნება სასწინდარი იმისა, რომ პედაგოგებს, რომლებიც უშუალოდ ეხებიან ყოველდღიურ სიძნელეებს ბავშვების აღზრდაში, მოუხმინონ მათ, ვის ხელშიცაა ამ სიძნელეების დაძლევის ინსტრუმენტები.

მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სექციის მუშაობის თაობაზე სექციის ხელმძღვანელმა, ინფორმატიკის დოქტორანტმა, ჯულიეტა ტაბეშაძემ ისაუბრა. სექციაში გვყავდა 3 მოხსენებელი და ყველა მათგანმა დააკმაყოფილა კონფერენციის თემატიკური მოთხოვნა. მოხსენებლებმა ლაგოკურად და დამაჯერებლად დაამოსცეს ცოდნა დარგობრივი საკითხების შესახებ. ერთ-ერთმა მათგანმა – ლია გორგაძემ, ბუნებისმეტყველების პედაგოგმა ოთის საჯარო სკოლიდან, წარმოადგინა საინტერესო კვლევის შედეგები, რომელიც ეხებოდა სკოლის ნაკვეთში კულტურულ მემკვიდრეობაზე და მათ მავნებელზე დაავიწყებას. მომხსენებელი გვყავდა კლდის საჯარო სკოლიდან, შორენა დონაძე და ნაქალაქევის საჯარო სკოლიდან გიორგი ზედგინძე. მათაც საკ-

მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სექციის მუშაობის თაობაზე სექციის ხელმძღვანელმა, ინფორმატიკის დოქტორანტმა, ჯულიეტა ტაბეშაძემ ისაუბრა. სექციაში გვყავდა 3 მოხსენებელი და ყველა მათგანმა დააკმაყოფილა კონფერენციის თემატიკური მოთხოვნა. მოხსენებლებმა ლაგოკურად და დამაჯერებლად დაამოსცეს ცოდნა დარგობრივი საკითხების შესახებ. ერთ-ერთმა მათგანმა – ლია გორგაძემ, ბუნებისმეტყველების პედაგოგმა ოთის საჯარო სკოლიდან, წარმოადგინა საინტერესო კვლევის შედეგები, რომელიც ეხებოდა სკოლის ნაკვეთში კულტურულ მემკვიდრეობაზე და მათ მავნებელზე დაავიწყებას. მომხსენებელი გვყავდა კლდის საჯარო სკოლიდან, შორენა დონაძე და ნაქალაქევის საჯარო სკოლიდან გიორგი ზედგინძე. მათაც საკ-



ლიკა ზაზაშვილი







„განათლებისა და კულტურის კერები სამცხე-ჯავახეთში“ – ასეთია სახელწოდება ნიგნის, რომლის პრეზენტაცია მისმა ავტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა – ნატო ყრუაშვილმა, 30 მაისს გამართა უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

პრეზენტაციას არამხოლოდ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები, არამედ ახალციხის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სამსახურის ხელმძღვანელი პირები და ქალბატონი ნატოს მეგობრები ესწრებოდნენ.

აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს 2018 წელს გამოცემული სახელმძღვანელოს „განათლებისა და კულტურის კერები სამცხე-ჯავახეთში“ – გაგრძელებას, მეორე ნიგნს, რომელშიც გაშუქებულია კულტურის სფეროში არსებული მდგომარეობა ქალაქ ახალციხესა და სამცხე-ჯავახეთში.

პრეზენტაციაზე შეკრებილთ მიესალმა განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი გულიკო ბეჟაური: ქალბატონი ნატო ღირსეული პიროვნებაა არა მხოლოდ უნივერსიტეტისთვის, არამედ ქალაქისა და ქვეყნისთვის. ის არის მეცნიერი, რომელიც ისეთ პროდუქტს ქმნის, თაობიდან თაობას რომ გადაეცემა და დიდ კვალს დაამჩნევს განათლების, კულტურის განვითარებას. ნიგნი, პირველ რიგში, მომავალი თაობის აღზრდის საქმეში დიდ წვლილს შეიტანს. ქალბატონი ნატო არ უშინდება არანაირ სიძნელეს და ქმნის ისეთ ნაშრომებს, რომელიც როგორც შვირი, ისე სჭირდება ჩვენს მეცნიერებს და ქართულ კულტურას, ყოველდღიურობას. ამიტომ, მიმაჩნია, რომ ფასდაუდებელია ამ ნიგნის გამოცემა. – აღნიშნა ქალბატონმა გულიკომ და დასძინა, რომ ნიგნი არის სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის და ისტორიის მასწავლებლებისათვის – საგნის მხარეთმცოდნეობის შესწავლის თვალსაზრისით. მან მიმოიხილა ნიგნში მოცემული განათლების კერები და განსაკუთრებით გამოყო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ მოცემული ნაწილი.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა მაკა ბერიძემ აღნიშნა, რომ ნიგნი, რომლის განხილვაც მიმდინარეობს, არა მხოლოდ ნიგნი, არამედ თი-

თოეულის ისტორიაა. მან დეტალურად მიმოიხილა თავი, რომელიც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეხება და შემდეგი განაცხადა: 25 წლის იუბილე ამთავრებს უნივერსიტეტის ისტორიაზე თხრობას. სწორედ საუბრობენ აკადემიურ კეთილსინდისიერებაზე.

ქალბატონი ნატოს ნიგნები არის ნიშნები აკადემიური სინდისიერების. ვფიქრობ, რომ

ჩინებული. ქალბატონი ნატო ყრუაშვილი ანალიტიკოსია, ის მხოლოდ ფაქტების ფიქსაციით არ კმაყოფილდება. მისი პროფესიული ვალია, რომ კიდევ შემოგვთავაზოს შესანიშნავი შრომა.

ნაშრომის სტრუქტურასა და შინაარსზე ისაუბრა სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა, ასოცირებულმა პროფესორმა ლალი ბერიძემ. მან აღნიშნა, რომ ნიგნი დაიბეჭდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში. რექტორი გახლავთ ლია მენთეშაშვილი, რექტორის მოადგილე – როინ ყავრელიშვილი და გულიკო ბეჟაური. ქალბატონმა ლალიმ დაამსწრე საზოგადოებას ნიგნის რექტორის შეფასებაც გააცნო.

პრეზენტაციაზე სიტყვით

სტუდენტი ხატია ჩილინგარაშვილი, ახალციხის საქალაქო ბიბლიოთეკის მენეჯერი ლილი აჩელაშვილი.

რთულია, ორ ნიგნში მოათავსო სამცხე-ჯავახეთის მხარეში მიმდინარე ყველა მოვლენა და საკითხი, მაგრამ ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ღირსეულად გაართვა თავი დასახულ ამოცანას. ქალბატონი ნატოს ნიგნები კარგი შენაძენია სტუდენტებისთვის, მხარის განათლებისა და კულტურის ისტორიით დაინტერესებული პირებისთვის. დიდი მადლობა ქალბატონ ნატოს, შესანიშნავი ნაშრომისთვის. – ბრძანა რექტორმა, პროფესორმა როინ ყავრელიშვილმა.

როდესაც ჩვენ ვეძებდით არქაულ მასალას მხარის გა-

მხარში დგომითა და დახმარებით გამოიცა ეს ნიგნი. ავტორმა აღნიშნა, რომ იდეა ნიგნების შექმნისა გაჩნდა მუზეუმში. ერთ დღეს, ქალბატონმა ციური ლაფაჩმა, მეცნიერ – თანამშრომლებს სთხოვა, შექმნილიყო კრებული „ახალციხე“. თანამშრომლებმა გადავინანოთ თემები. მე ყურადღება შევაჩერე განათლებისა და კულტურის სფეროზე. მაშინ ეს მასალები შეიკრიბა, მაგრამ კრებული „ახალციხე“ დღემდე არ გამოცემულა. რეგიონის კულტურისა და განათლების კერებზე უამრავმა მასალამ მოიყარა თავი. გაჩნდა იდეა ამ თემების ცალკე ნიგნად გამოცემისა. – აღნიშნა მან და დამსწრე საზოგადოებას ნიგნის სახელმძღვანელოდ გამოყენების შე-

# მალაღი ღიჯაჯაშვილის მკითხველი მსახური

ყველა დაწესებულება, რომელიც ამ ნიგნში მოხვდა, იმასხურებს განსაკუთრებულ ყურადღებას. დიდი მადლობა ქალბატონ ნატოს იმ ღირებულებებისთვის, რომელსაც ის უცვლელად ერთგულებს. ქალბატონი ნატო ჩვენ ბევრს გვასწავლის თავისი სახელმძღვანელოებითა და თავისი ცხოვრებით, პირადი ღირსებებით.

ავტორს ნიგნის გამოცემა მიულოცა რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, პროფესორმა მერაბ ბერიძემ. როდესაც ქალბატონი ნატოს ნიგნი გამოვიდა, დამეზადა კითხვა, თუ რით განსხვავდება დღევანდელი კულტურისა და განათლების კერები, ძველი კულტურისა და განათლების კერებისაგან. განსხვავდება იმით, რომ მაშინ თუ სამონასტრო ცხოვრება იყო და ჩვენი წინაპრები ქმნიდნენ ქართულ კულტურას და განათლებას, დღეს ეს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დონეზეა. არის კიდევ ბევრი განსხვავება. ეს განსხვავებაა დღევანდელი საერო ხასიათი. ჩვენ საერო ხასიათით ორადორი რამ დაგვიფიქსირებია მას შემდეგ – ცეკვა და სიმღერა. არადა, დღეს უკვე სხვა ტიპის მიმართულებებია და ეს უკვე, დარწმუნებული ვარ, მესამე ნიგნში აუცილებლად იქნება წარმო-



გამოვიდნენ: ნიგნის რექტორი, პროფესორი როინ ყავრელიშვილი, სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის დირექტორი ციური ლაფაჩი, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რექტორი ავთანდილ ბერიძე, ახალციხის მე-5 საჯარო სკოლის პედაგოგი ნანა დათაშვილი, გაზეთ „მესხეთის“ უნივერსიტეტის რექტორი მარინე ზედელაშვილი, პედაგოგი ნათელა ნაცვლიშვილი-ბერიძე, ასოცირებული პროფესორი მაია ქუჭიშვილი, კულტურისა და სპორტის განყოფილების უფროსი თემურ მალრაძე,




ნათლებისა და კულტურის კერების შესახებ, მცირედი მოგვეპოვებოდა. დღეს რომ ქალბატონი ნატოს ხელით დაინერა ასეთი ნიგნი, უმნიშვნელოვანესია. ის არა მხოლოდ უნივერსიტეტისთვის, არამედ მხარის მუზეუმისათვის უმნიშვნელოვანესი პიროვნებაა. ადრიდანვე ვფიქრობდი, რომ ქალბატონი ნატო არ გაჩერდებოდა ერთ ადგილას და საზოგადოებას საინტერესო ნიგნებს შესთავაზებდა. ეს ასეც არის. ვუსურვებ ქალბატონ ნატოს წარმატებებს. – აღნიშნა სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის დირექტორმა ციური ლაფაჩმა.

დასასრულს, საზოგადოების წინაშე წარსდგა ნიგნის ავტორი, რომელმაც მაღლიერება გამოხატა ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომელთა

სახელებს მოახსენა. გაიხსენა უნივერსიტეტის პროფესორის ირმა ქურაძის შეთავაზება, შეექმნა არჩევითი საგნის სილაბუსი. რადგან მასალა ხელთ მქონდა, გადავწყვიტე, არჩევითი საგანი სამცხე-ჯავახეთის განათლებისა და კულტურის კერებზე მომეზადებინა. უნივერსიტეტის მისიაა, ვიკვლით რეგიონის განათლების, კულტურისა თუ სხვა სფეროები. წლების განმავლობაში სტუდენტების მხრიდან ამ საგნის მიმართ იყო დიდი ინტერესი. როდესაც უნივერსიტეტში მომზადდა 300 კრედიტიანი პროგრამა მასწავლებლის მომზადებისა, ეს არჩევითი საგანი, სავალდებულო საგანად გადავიდა. დავინყე ფიქრი, რომ არსებული მასალა ნიგნის სახით გამოცემა.

პრეზენტატორმა დაამსწრე საზოგადოებას სამომავლო გეგმებზეც მოახსენა. აღნიშნა, რომ სურს რეგიონის სკოლების შესახებ მუნიციპალიტეტების მიხედვით გამოსცეს ნიგნი. გამოცემულ ნიგნებში ბევრი არ მითქვამს სკოლებთან დაკავშირებით. მოცემულთა ზოგადი მიმოხილვა, თუ როგორი მდგომარეობა იყო ჩვენს მხარეში არსებული სკოლების შესახებ. ვცდილობ, ცალკეული სკოლების ისტორია დაგწერო. მაქვს ბევრი მასალა მოძიებული. არის სკოლები, რომელთა ისტორია საუკუნეზე მეტს ითვლის. ეს ჩვენი დიდებაა და ამ ისტორიაზე ცალკე უნდა ვიმუშაო. – აღნიშნა მან და კიდევ ერთხელ მოახსენა მადლობა რექტორატს, პროფესორ-მასწავლებლებს, გამომცემლობის წარმომადგენლებს, სტუდენტებს, მობრძანებულ სტუმრებს იმ თბილი სიტყვებისთვის, რომლებიც გაჟღერდა ავტორის მიმართ ნიგნის პრეზენტაციის დროს.

ლიკა ზაზაშვილი



**სამცხე-ჯავახეთის** სახელმწიფო უნივერსიტეტში, 3 მაისს, გაიმართა ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო-საგანმანათლებლო პროგრამის პრეზენტაცია, რომელსაც უძღვებოდა ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი **ლევან მაკარაძე** და ვეტერინარიის დოქტორი **ნინო მილაშვილი**. პროგრამის პრეზენტაციას ესწრებოდნენ რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი **მერაბ ბერიძე**, რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, პროფესორი **ნიკოლოზ ახალკაცი**, ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი **რევაზ ზედგინიძე**, აკადემიური პერსონალი, დარგის სპეციალისტები და დამსაქმებლები.



პრეზენტაცია გახსნა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, ასოცირებული პროფესორმა **მაკა ბერიძემ**. მან განსაკუთრებული პატივისცემა დაუდასტურა პროგრამის ხელმძღვანელებსა და დამსაქმებლის სტატუსით მობრძანებულ ადამიანებს, აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია პროგრამის შედგენის პროცესში მათი მოსაზრებების გათვალისწინება. პროგრამის ხელმძღვანელებს აღმოაჩინა სწორი ხედვა არამარტო საკუთარი დარგის, არამედ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ. ძალიან მცირე დროში, მზად არის 308 კრედიტიანი ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო-საგანმანათლებლო პროგრამა, მისი თითოეული სილაბუსი, სრული პაკეტი სამეცნიერო ლიტერატურის, ლაბორატორიები და სხვა.

**ველდლიური თანამშრომლობა.** ამიტომ, თქვენი წინადადებები, თქვენი სურვილები იმასთან დაკავშირებით, რომ პროგრამა განდეს უფრო მიმზიდველი, საინტერესო იქნება. – აღნიშნა პროგრამის ხელმძღვანელმა. ბატონმა **ლევანმა** პროგრამის პრეზენტაცია ორ ნაწილად წა-

წავლეს სისტემები, ასევე, რეგიონის სპეციფიკა. პროგრამა მოიცავს როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო სწავლებას და ხუთწლიანია. პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტი მიიღებს ვეტერინარიის დიპლომს. ამასთან, რეგიონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, კურსდამთავრებულს არ ექნება შრომით ბაზარზე დასაქმების პრობლემა. ვფიქრობთ, მაინორ პროგრამის რეჟიმშიც შევქმნათ 60 კრედიტიანი მეფრინველეობის, მელოლოგიის, მეძროხეობის, კინოლოგიის მიმართულებით სასწავლო პროგრამები, რადგან სხვა დაინტერესებულმა სტუდენტებმა შეძლონ ვეტერინარიის მიმართულებით ცოდნის მი-

შეხვედრები მართლა საჭიროა. ასეთ შეხვედრებზე მიიღწევა სწორი შეთანხმება. მითუმეტეს, აქ არის ყველა – პროფესორაც და დამსაქმებელიც. გვინდა, მაღლობა გითხრათ ამ თანამშრომლობისთვის. უნივერსიტეტის მონვეული პედაგოგი **ნანა ზუბაშვილი**: მინდა განვაცხადო, რომ რეგიონში ვეტერინარების ნაკლებობაა. სახელმწიფო სოფლის მეურნეობის მიმართულებით ავითარებს სხვადასხვა პროგრამებს, რაც მოთხოვს, შესაბამისად, სპეციალისტებს. ამიტომ, ამ პროგრამის რეგიონში ამოქმედება უმნიშვნელოვანია. ფერმერთა ასოციაციის წარმომადგენელი **ზურაბ ყულჯანიშვილი**: დიდი მადლობა იმისათვის, რომ ასეთ კარგ პროგრამაში ჩაგვრთეთ. ჩვენ მზად ვართ არა მხოლოდ ორგანიზაციულად, პიროვნულად ჩავერთოთ ყველა საკითხში, რაც ამ პროგრამის განხორციელებისათვის იქნება საჭირო. ასევე, სისტემატურად გვჭირდება კადრები, რომლებსაც სოფლის მეურნეობის მიმართულებით განათლება აქვთ. მომავალ წლებში, შესაძლებელია დაგვჭირდეს ვეტერინარის დამატებაც. ყველაფერთან ერთად, ჩვენ ვართ პროგრამის ერთ-ერთი პოტენციური დამსაქმებელიც. ამიტომ, უნივერსიტეტს ვუსურვებთ წარმატებით გაიაროს აღნიშნული პროგრამის აკრედიტაცია.

## შეხვედრების დასასრულს, რექტორმა კიდევ ერთხელ მოახსენა მადლობა ყველას მობრძანებისთვის და წარმატება უსურვა უნივერსიტეტს პროგრამის განხორციელებაში.



პროგრამის ფუნქციონირებისა. ეს უფლება მოიპოვა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. სახელმწიფო პოლიტიკა – ამ რეგიონში იყოს უნივერსიტეტი, ვფიქრობ, რომ აბსოლუტურად სწორია. ასევე, რეგიონი მნიშვნელოვანია მეცხოველეობა-ვეტერინარიის მიმართულებით. არის საშუალება იმისა, რომ შეიქმნას კარგი ბაზა პრაქტიკული სამუშაოების განსახორციელებლად. ასევე, მნიშვნელოვანია იმ ადამიანების აქ ყოფნა, ვისთანაც მოგვიწევს ყო-

რადგინა. დამსწრე საზოგადოებას გააცნო პროგრამასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ნორმატიული აქტები. მეორე ნაწილში ისაუბრა იმ დეტალებზე, თუ რას შესთავაზებს უნივერსიტეტი აკრედიტაციის საბჭოს იმისთვის, რომ პროგრამამ მოიპოვოს სწავლების განხორციელების უფლება. პროგრამის შედგენისას გათვალისწინებული იქნა ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნები, უცხოეთის წამყვანი ვეტერინარული ფაკულტეტების

დამსწრე საზოგადოების შემდგომ, დამსწრე საზოგადოების მხრიდან გამოითქვა მოსაზრებები და რეკომენდაციები გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით. პროგრამის ხელმძღვანელმა ჩაინიშნა თითოეულის მოსაზრება და განმარტა, რომ აუცილებელია გაითვალისწინებოს პროგრამაში. პროფესორი **მერაბ ბერიძე**: დიდი მადლობა სერიოზული პრეზენტაციისათვის. ამ ტიპის

პრეზენტაციის დასასრულს, რექტორმა კიდევ ერთხელ მოახსენა მადლობა ყველას მობრძანებისთვის და წარმატება უსურვა უნივერსიტეტს პროგრამის განხორციელებაში. მოსამზადებელი სამუშაოების დამთავრების შემდეგ მოხდება პროგრამის წარდგენა აკრედიტაციისათვის. ყველა ეტაპის წარმატებით გავლის შემდგომ, 2020 წლიდან, აბიტურიენტებს შესაძლებლობა ექნებათ, ისწავლონ ვეტერინარიის პროგრამაზე.

ლიკა ზაზაშვილი

**EU-ERASMUS + ASSET** პროექტის (შეფასების ინსტრუმენტები უმაღლესი განათლების სასწავლო გარემოსთვის) ფარგლებში, 22 მაისს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა საინფორმაციო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც უნივერსიტეტის და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და პროგრამის ხელმძღვანელები, აგრეთვე, აკადემიური პერსონალი.

პროექტის ინსტიტუციურმა მენეჯერმა, პროფესორმა **თინა გელაშვილმა** დამსწრე აუდიტორიას გააცნო განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების მნიშვნელობა და დანერგვის აუცილებლობა. მენეჯერთან ერთად, სტაფის წევრებმა, ასოცირებული პროფესორებმა **გულნარა ჯანოვაძე** და **მაკა მურვანიძე** განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებზე პრეზენტაცია გამართეს.

შეხვედრის მიზანი იყო, რომ აკადემიური პერსონალი გაცნობოდა განმავითარებელი შეფასების თითოეულ ინსტრუმენტს, ესენია: „Soft Skills for the 21st Century“, „Critical Friend“, „Peer/Self Assessment“, „Reflec-

## ERASMUS + ASSET პროექტის ფარგლებში განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების პილოტირება იწყება

tive Diary“, „Open Badges (OB)“, „Concept Maps (CoMa)“ და შეერიჩათ მათი დისციპლინისთვის რელევანტური ინსტრუმენტი, რომლებზეც ივლის-ივლისის თვეში ჩატარდება ვორკშოპები, ხოლო მომავალი სასწავლო წლიდან მოხდება მათი პილოტირება.

**რბილ უნარებს, როგორც წესი, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არ ასწავლიან.** ERASMUS + ASSET პროექტის ჯგუფმა მოამზადა განმავითარებელი შეფასების აღნიშნული ინსტრუმენტი, რომელიც სტუდენტის მიერ მართული პროცესია, ხოლო შეფასებას ახდენს ორივე – სტუდენტიც და მასწავლებელიც. ამ ინსტრუმენტის საშუალებით შესაძლებელია სხვა ადამიანებთან მუშაობის უნარის გამოუმუშავება, ემოციის მართვა, კრიტიკული გადამწყვეტილების მიღების უნარი, დამსაქმებელთა ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილება შესაბამისი

უნარ-ჩვევების მქონე კადრებით. – აღნიშნა ქალბატონმა თინამ.

**ყველა სტუდენტს, აგრეთვე, მასწავლებელს, სჭირდება სანდო პიროვნება, რომელიც დასვამს პროვოკაციულ კითხვებს და მისცემს კრიტიკულ შენიშვნებს. მიდგომა კრიტიკული მეგობარი განმავითარებელი შეფასების უკუგების ინსტრუმენტია, ის თანამედროვე სწავლების/სწავლის პროცესის ქვაკუთხეა.** – აღნიშნა პრეზენტაციაზე გულნარა ჯანოვაძე.

მისი განმარტებით, კრიტიკული მეგობარის მიდგომა საშუალებას აძლევს სტუდენტს, განავითაროს რეფლექსური, ანალიტიკური, კრიტიკული, მეტაკოგნიტიური უნარები. მისი გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტების პასუხისმგებლობის ამაღლებას, განსხვავებული მოსაზრებების პატივისცემას, ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობებს, ორმხრივ დახმარებას და კვლევას.

პრეზენტაციაზე სტაფის წევრებმა ისაუბრეს განმავითარებელი შეფასების ახალ ფორმაზე – ღია სამკერდე ნიშნებზე, რომლებიც უზრუნველყოფს სოციალურ გარემოსა და ქსელთან დაკავშირებულ სწავლებას. მეთოდ – თვითშეფასება, მენეჯერის შეფასება და რეფლექსიური დიოგნი ინდივიდს ეხმარება თვითგაცნობიერების, თვითშეფასების, პიროვნული ზრდის, პროფესიული განვითარების, თვითშეფასება/მენეჯერის შეფასებაში.

მეთოდი – **კონცეპტუალური რუკები** (ცოდნის ვიზუალური წარმოდგენა, გამოხატვა ემსახურება. ამ ინსტრუმენტის დახმარებით სტუდენტს საშუალება ეძლევა ორგანიზება გაუკეთოს მასში არსებულ ცოდნას, მოახდინოს მისი სტრუქტურულად გამოსახვა და დაკავშირება ერთმანეთთან.

კონცეპტუალური რუკები სტუდენტს ეხმარება გაგებული



მასალის ვიზუალურად გამოსახვაში და ნასწავლის ურთიერთკავშირის დადგენაში.

**როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, ექვემოთ აღნიშნულ საკმაოდ კრეატიულია, ევროპის ქვეყნებში აპრობირებული და დახერხებული. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიც ფებს უწყობს თანამედროვე მოთხოვნებს და ახალი სასწავლო წლიდან იწყებს აღნიშნული სწავლების შეფასების ინსტრუმენტების სხვადასხვა საგნებში პილოტირებას.** – ბრძანა შეხვედრის დასასრულს პროექტის მენეჯერმა, პროფესორმა თინა გელაშვილი.

*ჩვენი კორესპონდენტი*







სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 17 აპრილს, პავლე ზაზაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში, გაიმართა განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის ქართული ლიტერატურის მიმართულების დოქტორანტის, იოსებ გიქოშვილის სადისერტაციო ნაშრომის – „გიორგი შატბერაშვილის შემოქმედების პრობლემატიკა“ – დაცვა. სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი გახლდათ ასოციირებული პროფესორი ვახტანგ ინაური. რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნესტან სულავა და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი როსტომ ჩხეიძე.

მისასალმებელი სიტყვით სხდომა გახსნა სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა მერაბ ბერიძემ. იგი მიესალმა სადისერტაციო საბჭოს დარგობრივ კომისიას, დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ აუცილებელია თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა. თავმჯდომარედ დასახელდა ფილოლოგიის დოქტორი, თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთაველოლოგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი ივანე ამირხანაშვილი, ხოლო მდივნად – ასოციირებული პროფესორი მაყვალა დავითაძე. აქვე წარმოგიდგინებ დარგობრივი კოლეგიის შემადგენლობას: ასოციირებული პროფესორები – დალი ბეთხოშვილი, ქეთევან გრძელიშვილი, მაყვალა დავითაძე, ფილოლოგიის დოქტორი, თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ნამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი ზოია ცხადაია.

სხდომის მსვლელობის პროცესში, სადისერტაციო დარგობრივი კოლეგიის თავმჯდომარემ, ფილოლოგიის დოქტორმა ივანე ამირხანაშვილმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო იოსებ გიქოშვილის ბიოგრაფიული მონაცემები და შემდეგ სიტყვა გადასცეს დოქტორანტს, რომელმაც შესანიშნავად წარადგინა დამსწრე საზოგადოების წინაშე თავისი სადისერტაციო ნაშრომი. მან ისაუბრა ნაშრომის სიახლესა და კვლევის მეთოდებზე, წარმოგიდგინა ნაშრომის სტრუქტურა და შემადგენლობა. აღნიშნა, რომ ნაშრომი შედგება ხუთი თავისაგან. ისაუბრა თემის აქტუალობაზე, კვლევის ძირითად მიზანსა და ნაშრომის წყაროთმცოდნეობით ბაზაზე. აღნიშნა მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები.

ბი. დოქტორანტმა, მისთვის განკუთვნილ დროში, დასაბუთებული პასუხი გასცა დასმულ შეკითხვებს. აქვე წარმოგიდგინებ ნაშრომის რეცენზიებს, ამონარიდების სახით.

**როსტომ ჩხეიძე**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი: მისასალმებელია ჯერ მარტო არჩევანი იოსებ გიქოშვილისა, რომელიც არ გამოედევნა მოდურ მწერლებს და სადისერტაციო თემად ხელი მოჰკიდა გიორგი შატბერაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლა-წარმოჩენას, მისი მრავალფეროვანი შემოქმედების უანრობრივ და თემატურ განხილვას და იმ არსებითი რეალიზაციას და შტრიხებს გამოკვეთას, არამარტო ერთი მწერლის პორტრეტულ იერს რომ გვიცოცხლებს, არამედ ხელშეახლებად აირეკლავს ეპოქის დრამატიზმსა და ტრაგიზმსაც, რადგანაც გიორგი შატბერაშ-

სხვა არაერთი საგულისხმო დაკვირვება, მოსაზრება, მიგნება.

კარგია, რომ მკვლევარს საგანგებოდ აქვს გამოყოფილი მწერლის მეცხური რკალი – ალბეჭდილი პოეზიაშიც, პროზაშიც და ესეისტურ-მეცნიერულ ნარკვევებშიც.

საერთოდ კი, გიორგი შატბერაშვილის ისტორიული პროზა არ ყოფილა სათანადოდ შესწავლილი და წარმოჩენილი. და თუმცა რამდენიმე ნიმუშია – და განზრახული რომინსაც აბო ტფილელზე მხოლოდ ფრაგმენტებია გადარჩენილი – უსათუოდ უნდა მისჩნოდა შესაფერისი ადგილი ქართული ისტორიული პროზის თავისებურებათა განსჯისა და კიდევ წარმატებით წარმოჩენა იოსებ გიქოშვილის მონოგრაფიაში.

უდავო მონაპოვარია გიორგი შატბერაშვილის მეუღლის ნათელა ქეშელაშვილის ნაამბობის ჩანერა აუდიო-დისკზე, რაც მომხილავ შტრიხს სძენს

ნესტან სულავა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი: იოსებ გიქოშვილის ნაშრომში ძალზე საყურადღებოა პირველი თავი, რომელშიც გაცოცხლებულია გიორგი შატბერაშვილის ცხოვრების გზა, რაც ასე დეტალურად, საქმიანად, პროფესიულად არც იყო გაკეთებული და ამ მხრივ ამ თავის შინაარსის შემოტანა სადისერტაციო ნაშრომში დადებით კონტრასტებს იწვევს. თუმცა, შემდეგ თავებშიც არის მისი მოღვაწეობის ცალკეული ეპიზოდისა თუ მოვლენის შესახებ მსჯელობა და, ვფიქრობ, ეს სათაურშიც შეიძლება ასახულიყო. ამას მონოგრაფიის სპეციფიკაც მოითხოვდა. უთუოდ უნდა ვახსენოთ როსტომ ჩხეიძის „ტივის ხე“, რომელიც გიორგი შატბერაშვილის შესახებ ბიოგრაფიული რომანის ტიპის თხზულებაა, მწერლის ცხოვრების ქრონიკაა. თუმცა, ეს ნაშრომი ავტორს არ გამოუყენებია და ლიტერატურის ჩამონათვალშიც არაა დასახელებული.

თავ, რაც დისერტანტისაგან ლექსმცოდნეობაში სპეციალურ ცოდნას მოითხოვდა. ცალკე გამოყო პოემა „ზაფხულის ღამის ქრონიკა“, რომელმაც, შექმნის პერიოდშიც და შემდეგაც, კრიტიკოსთა და ლიტერატურათმცოდნეთა ყურადღება რატომღაც ვერ მიიპყრო. იოსებ გიქოშვილი შეეცადა, შეესწავლა ის მიზეზები, თუ რატომ დარჩა პოემა უყურადღებოდ და რატომ არაფერი დაინერა მის შესახებ, უფრო სწორად რატომ არ შეფასდა იგი, როგორც ლიტერატურული მოვლენა, რადგან პოემა ნამდვილად გამორჩეულ ადგილს იჭერს გიორგი შატბერაშვილის შემოქმედებაში თავისი მხატვრული სახეებით, სიმბოლოებით, ენიგმებით, სახისმეტყველებით, გამომსახველობითი საშუალებებით, მეტიც, არა მხოლოდ გიორგი შატბერაშვილის პოეზიაში, არამედ მთელს ქართულ ლიტერატურაში.

განსაკუთრებული ხიბლი შესძინა იოსებ გიქოშვილმა იმ ლირიკული თხზულებების შესწავლას, რომლებიც მესხეთის თემას ეძღვნება, ეს მით უფრო დასაფასებელია, რადგან დისერტანტი მესხეთის მკვიდრია და მესხეთში მოღვაწეობს. გიორგი შატბერაშვილის პოეზიის ღირსებათა შესახებ მსჯელობა დისერტანტმა წარმართა საქმიანად, საკითხის ღრმა ცოდნით, გამომჟღავნა კვლევის უნარი და ლექსის ვერსიფიკაციული ანალიზის პოტენციალი, რაც ლიტერატურათმცოდნისათვის ესოდენ აუცილებელია.

აქვე მინდა შევნიშნო, რომ ცალკეული ლექსის განხილვისას მკითხველს, მით უფრო, სპეციალისტს, უკმარისობის გრძნობა უჩნდება, რადგან მეტი შეიძლება თქმულიყო, გამოვლენილიყო თითოეული მათგანის ლიტერატურულ-ესთეტიკური ფენომენი და დადგენილიყო ის კონტრასტები, რაც სხვა ავტორთა ლირიკაშიც შეინიშნება, ე.ი. შედარებით-ტიმოლოგიური კვლევის მეთოდით უფრო აქტიურად უნდა გამოეყენებინა.

სადისერტაციო საბჭოს დარგობრივმა კოლეგიამ განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის ქართული ლიტერატურის მიმართულების დოქტორანტის იოსებ გიქოშვილის სადისერტაციო ნაშრომი შეაფასა „ძალიან კარგი“ ქულით. დოქტორანტს თემის წარმატებით დაცვა მიულოცა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, ასოციირებული პროფესორმა მაკა ბერიძემ და უნივერსიტეტის პროფესორმა.

დაბოლოს, კიდევ ერთხელ ვულოცავთ ბატონ იოსებ გიქოშვილს დისერტაციის ღირსეულ დაცვას და ვუსურვებთ პროფესიულ წარმატებებს.



# სოსო გიქოშვილის სადოქტორო ნაშრომის წარმატება

## ლაზირა კობაიძე ასოცირებული პროფესორი

ვილი რთული მოვლენების შუაგულში ტრიალებდა და არც პოლიტიკური რეპრესიები დაჰკლებია, არც ცენზურისაგან შევიწროება და მაინც შეძლო არა მხოლოდ თავისი სულიერების გამოტარება იმ უმძიმეს პირობებში შეუბღალავად, არამედ ძალიან შეუწყო ხელი არაერთი შემოქმედების თვითდადგინება-დამკვიდრების პროცესსაც.

ასე ცნაურდება ჩვენს თვალწინ, იოსებ გიქოშვილის მონოგრაფიის წყალობით, გიორგი შატბერაშვილი, როგორც პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, ესეისტი, საბავშვო მწერალი, მკვლევარი, ლექსიკოლოგი, მისი თავისთავადობა და მხატვრული ძიებების მოდერნული ხასიათი, შენარჩუნება ეროვნული ფესვებისა და გათვალისწინება დასავლურ ლიტერატურაში მოხდარი ძვრებისა და განახლებისა.

განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია „მკვდრის მზისა“ და „ზაფხულის ღამის ქრონიკის“ ანალიზი, რასაც თავისებურ შენაკადებად დაერთვის

მონოგრაფიის ბიოგრაფიულ ნაწილსაც და მთელს ნაშრომსაც.

მკვლევარის მსჯელობა დამაჯერებელია, არგუმენტირებული, დასკვნები ლოგიკურად გამომდინარეობს საგულისხმო ანალიზიდან და ცოცხლად და მიმზიდველად არის დაწერილი, ქართული ენისა და სტილის კარგი შეგრძნებით, რაც ასერიგად უხდება გიორგი შატბერაშვილზე შექმნილ სადისერტაციო ნაშრომს.

გულდასაწყვეტია, რომ მკვლევარს მხედველობიდან გამორჩა არაერთი ისეთი ნყარო, რაც ძალიან წაადგებოდა გიორგი შატბერაშვილის ბიოგრაფიის შესავსებად – ამ ბიოგრაფიის დრამატიზმის კიდევ უფრო გამოსაკვეთად და მის შემოქმედებით თავისებურებებში უფრო ღრმად ჩასახედებად.

მწერლის დაპატიმრება-გადასახლების საბაბად იქცა არამარტო ლექსი „წერილი ახალგაზრდობას“, არამედ მეორე ლექსიც – და ის კიდევ უფრო – „დასაწყისი განთიადისა“, რომლის მიძღვნაც ასე დამოფრთხილად მიმდინარეობდა „თავად ჩოლოყაშვილს“ ანუ ქაქუცას.

ბული. ამ წიგნის გამოყენება მკვლევარს ბევრს მისცემდა, რადგან როსტომ ჩხეიძე თავის ბიოგრაფიულ რომანებში, მათ შორის „ტივის ხეშიც“, მხოლოდ მხატვრულად კი არ ასახავს ამა თუ იმ გამოჩენილი პიროვნების ცხოვრებას, არამედ, ფაქტობრივად, ყოველი მათგანი დოკუმენტური პროზის ნიმუშია, მწერლის ცხოვრება-მოღვაწეობა დოკუმენტური მასალით გაჯერებული და ქრონიკალურადაა გაცოცხლებული. აგრეთვე, ეს წიგნი იოსებ გიქოშვილს გიორგი შატბერაშვილის თხზულებათა ანალიზისას გამოადგებოდა.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავი ეძღვნება გიორგი შატბერაშვილის პოეზიის ძირითად ტენდენციათა გამოკვეთას, შესწავლას და, შეიძლება ითქვას, დისერტანტის დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ პოეტური მემკვიდრეობის კლასიფიკაცია, რაც აქამდე არ ყოფილა გაკეთებული. მან ცალკე იკვლია ეროვნულ თემაზე შექმნილი ლექსების, სატრფიალო ლირიკის, საყმანვილო პოეზიის მახასიათებლები, გამოავლინა ის საფუძვლები, რომელთა მიხედვით შეიძლება ლირიკულ თხზულებათა კლასიფიცირება. შეისწავლა ვერსიფიკაციული თვალსაზრისი-





ასოცირებულმა პროფესორმა **გულნარა ჯანოვამ**. მან მოკლედ ისაუბრა მშვიდობის კორპუსის მოკლევადიანი პროგრამისა და კევინ ბესერის მოღვაწეობაზე, მის წვლილზე უნივერსიტეტში და მთელს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. სტუ-

მარს უნივერსიტეტის სახელით მიესალმა და მადლიერების წერილი და სამახსოვრო საჩუქარები გადასცა უნივერსიტეტის რექტორმა ქალბატონმა მაკა ბერიძემ. აგრეთვე სიტყვით გამოვიდნენ განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ქალბატონი **გულიკო ბექაური** და ამავე ფაკულტეტის ინგლისური ენის პედაგოგები: ასოცირებული პროფესორები **დიანა მიქელაძე, მაკა მურვანიძე** და მონვეული მასწავლებელი **რუსუდან ნასყიდაშვილი**.

● **29 მაისს** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიმართა გამოსამშვიდობებელი საღამო ბატონ **კევინ ბესერის** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში იმყოფება მშვიდობის კორპუსის მოკლევადიანი პროგრამის ფარგლებში 2018 წლის სექტემბრიდან 2019 წლის 15 ივნისის ჩათვლით.

### ინფორმაცია

● **29 მაისს**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიმართა გამოსამშვიდობებელი ღონისძიება, თურქული ფილოლოგიის პროგრამის პრაქტიკული თურქული ენის პედაგოგთან ბატონ **ოზგურ ჩობანთან**, რომელიც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014-2019 წლებში მუშაობდა თურქეთსა და საქართველოს შორის განათლების სფეროში დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

შეხვედრა გახსნა განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა ქალბატონმა **გულიკო ბექაურმა**. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო ოზგურ ჩობანის მოღვაწეობის პერიოდი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სიტყვა გადასცა რექტორს, ასოცირებულ პროფესორს **მაკა ბერიძეს**, რომელმაც ოზგურ ჩობანს უნივერსიტეტში ხუთწლიანი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მადლო-

ბა გადაუხადა და სიგელი გადასცა. ოზგურ ჩობანს, ასევე, სიტყვით მიმართა რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში პროფესორმა **მერაბ ბერიძემ**, კოლეგებმა და სტუდენტებმა. დასასრულს, ოზგურმა მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და დამსწრე საზოგადოებას ასეთი თბილი დამშვიდობებისათვის.

**ინფორმაციები უნივერსიტეტის facebook-ის გვერდიდან**



**სამცხე-ჯავახეთის** სახელმწიფო უნივერსიტეტში, 11 მაისს, გაიმართა – მეცნიერებათა დოქტორის **ზაზა მელიქიძის** წიგნის – „**ბალანთა**“ – პრეზენტაცია. წიგნის რედაქტორი გახლავთ **გოგიტა მელიქიძე**.

რომლებიც დაგვეხმარნენ, ჩაგვეწერა ბალანთის ისტორია. სოფელ ბალანთის მრავალმხრივი მასალების ერთად თავმოყრილი მასალი დაიწყო წიგნის ბეჭდვის პროცესი. მადლობა მინდა ვუთხრა ავტორს, რომ მსგავსი წიგნები სხვადასხვა სოფლებზე ბევრი გამოიცეს.

ვიღს. განსაკუთრებული თავმონებით წავიკითხე ისტორიები ვაჟაკობისა და ჩვენი სახელობის ნინაპრების შესახებ. წარმოატეხა გვინდა ვუსურვოთ ავტორს მესხთა საიმედოდ და ქართველთა საამაყოდ.

ზრდის დროს, ამ წიგნით გამოხატა. ვისურვებდი, რომ ეს მუხტი გაგრძელდეს ჩვენს ახალგაზრდებში, რადგან ასეთი წიგნები არის დოკუმენტი შთამომავლობისთვის. – აღნიშნა ასოცირებული პროფესორმა **ლალი ბერიძემ**.

ბატონი კოსმა რევაზ ანდლულაძემ სოფელ ბალანთასთან დაკავშირებით შემდეგი გაიხსენა: **1989 წლის ოქტომბრის თვეში, მე და გიორგი ზედგინიძემ მოვიარეთ ჯავახეთის ქართული სოფლები. მათ შორის ბალანთაშიც ვიყავით. ჩვენ გვაქვს 1952 წელს ზედგინიძეების სახლში კარაპანში გადაღებული სურათი, სადაც გიორგი ზედგინიძე ოჯახთან ერთად არის წარმოდგენილი. ახლა ეს სახლი აღარ არის სოფელში. ვისურვებდი, რომ ისტორიის**

უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში შეკრებილი საზოგადოებას მიესალმა და პრეზენტაციას წარუძღვა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი **მერაბ ბერიძე**. ჯავახეთზე მწირი ინფორმაცია გვაქვს. **70-იან წლებში, ჩანერილი მქონდა 150 ტომიანი. სამწუხაროდ, ვერ მივაგვენი ამ ჩანანერებს, რომ მამოვლო წიგნის პრეზენტაციაზე. ზაზა მელიქიძის წიგნი მოიცავს ლინგვისტიკას, არქეოლოგიას, ეთნოლოგიას. აღსანიშნავია, რომ ძირითადი ნაწილი გენეოლოგიურ კვლევას აქვს დათმობილი. ასევე, წიგნს აქვს მეცნიერული კვლევის პრეტენზია. მას დართული აქვს გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა. მადლობა მინდა მოვასხენო ავტორს ამ შესანიშნავი წიგნისათვის.**



ასოცირებულმა პროფესორმა **ნატო ყრუაშვილმა** სურვილი გამოთქვა, რომ მთელ საქართველოში დაინეროს ყველა სოფლის ისტორია, რადგან ეს ჩვენი ისტორიაა, ჩვენი ფესვებია. როდესაც წიგნი ავიღე ხელში, ვერ ვიფიქრებდი, რომ ავტორი არ იქნებოდა ისტორიკოსი. წიგნში განთავსებულია ახალციხის ციხეზე არსებული დღევანდელი მეჩეთის სურათი. მუზეუმში გვაქვს ძველ ფოტომასალა და სასურველი იქნებოდა ძველი მეჩეთის ფოტოც დართული იყოს

ისტორიკოსმა რევაზ ანდლულაძემ სოფელ ბალანთასთან დაკავშირებით შემდეგი გაიხსენა: **1989 წლის ოქტომბრის თვეში, მე და გიორგი ზედგინიძემ მოვიარეთ ჯავახეთის ქართული სოფლები. მათ შორის ბალანთაშიც ვიყავით. ჩვენ გვაქვს 1952 წელს ზედგინიძეების სახლში კარაპანში გადაღებული სურათი, სადაც გიორგი ზედგინიძე ოჯახთან ერთად არის წარმოდგენილი. ახლა ეს სახლი აღარ არის სოფელში. ვისურვებდი, რომ ისტორიის**

ავტორს მადლობა მოახსენეს წიგნის გამოცემისთვის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა **გიული ზედგინიძემ**, სპორტისა და კულტურის სამსახურის ხელმძღვანელმა **თემურ მალრაძემ**.

უნივერსიტეტის რექტორმა **მაკა ბერიძემ** აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ყოველთვის მიესალმება ახალი წიგნის დაბადებას. ის ფაქტი, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში იმართება წიგნის პრეზენტაცია, მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნია. წიგნში საქმე გვაქვს საკითხის არაერთი კუთხით შესწავლასთან. იმისათვის, რომ თამამად მივივითოთ წიგნის სამეცნიერო ხასიათზე, გვჭირდება სამეცნიერო აპარატის სრულად დაცვა. ეს მხოლოდ ტექნიკური საკითხია, რომელიც კიდევ უფრო აამაღლებს წიგნის სამეცნიერო ღირებულებას. მნიშვნელოვანია გამოყენებული მასალის მრავალფეროვნება. ასევე, მნიშვნელოვანია ზეპირსიტყვიერი მასალა. ის, რაც სამცხე-ჯავახეთის ეხება, უნივერსიტეტისთვის კიდევ უფრო ღირებულებაა. მადლობა მინდა ვუთხრა ზაზა მელიქიძეს ასეთი შესანიშნავი წიგნისთვის.

## წიგნი – ღოკოშენის შთაბრძნა

უნივერსიტეტის მონვეულმა პედაგოგმა **ვოვა ზედგინიძემ** წიგნის გამოცემის შესახებ შემდეგი განაცხადა: **როდესაც ჩვენ ბევრი მოდავე გვყავს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია მსგავსი წიგნების გამოცემა. მემამაეებმა, რომ ბალანთელი ვარ. მამას, გიორგი ზედგინიძეს, ადრეულ წლებში, გაკეთებული აქვს ჩანანერები სოფელ ბალანთის შესახებ, აღწერილი აქვს ის ადგილები, როდესაც გვიწევდა იქ ცხოვრება. მადლობა ბატონ ზაზას ამ დიდი ეროვნული საქმისთვის და ამ შესანიშნავი წიგნის შექმნისთვის.**



სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის დირექტორმა **ციური ლაფანია** აღნიშნა, რომ ამ წიგნის გამოცემით ქართული სამეცნიერო ლიტერატურისათვის მნიშვნელოვანი შენაძენია: **ბალანთა და სხვა სოფლები ძალიან რთულ სიტუაციაში იყვნენ ჯერ კიდევ 90-იან წლებში, როდესაც ვიმოგზაურეთ და ვაგრძობდით მასალებს ამ სოფლების შესახებ. მაშინ კიდევ იყო რამდენიმე ადამიანი,**

მე ის პიროვნება ვარ, ვისაც კალათა ჩაუკიდია ბალანთაში ბანიან სახლში. ბალანთიდან რომ გადმოგვასახლეს, 7 წლის ვიყავი. ერთი მოკრძალებული რამ მინდა ვთქვა. სოფელში კიდევ ცხოვრობდნენ სხვა გვარები, წიგნში შეტანილი გვარების გარდა. კარგი იქნება თუ ეს გვარები დაემატება სოფლის ისტორიას. მადლობა იმისთვის, რომ დამაბრუნეთ ბავშვობაში, რომელიც სოფელ ბალანთაში გავატარე. – აღნიშნა ვახტანგ მელიქიძემ.

ახალ ფოტოსთან ერთად. მადლობა ბატონ ზაზას იმ შრომისთვის, რაც მან ამ წიგნში ჩადო. – განაცხადა ქალბატონმა ნატომ.

შექმნაში ყველამ შევიტანოთ წვლილი და ვინც წერს ასეთ წიგნებს, დავაფასოთ. წიგნი უნივერსიტეტის დოქტორანტმა ნინო ზედგინიძემ შემდეგნაირად შეაფასა: თითოეული სოფლის ისტორიის კვლევა აუცილებელი საქმეა, რადგან თითოეული მათგანის ისტორია ასახავს ჩვენს წარსულსა და დღევანდელს. წიგნის ავტორის მიერ წარმოდგენილი ისტორიული ცნობებით ვგებულობთ, თუ რაოდენ აუტანელი იყო მოსახლეობისათვის თითქმის ასსაუკუნოვანი ისტორია. წიგნში წარმოდგენილია სოფელ ბალანთის არქეოლოგია. ასევე, მასში ვეცნობით ბალანთაში მდებარე ტაძრებს, გვარებს, გენეოლოგიურ განშტო-

ბატონებს და მოზრდილებს ორგანიზაციებს და მოზრდილებს ორგანიზაციებს. წიგნზე კვლევა სამი მიმართულებით წარმოებდა. მოვიძიეთ გადმოცემები ბალანთის ისტორიის შესახებ, შემდეგ კვლევა გაგრძელდა არქეოლოგიის მიხედვით. არქეოლოგიური ექსპედიციის დროს აღმოჩენილი არტეფაქტები და მათ შესახებ ექსპერტების მიერ გაკეთებული შეფასებები გავანალიზეთ. მინდა, მადლობა მოვასხენო რეზო ანდლულაძეს, რომელიც დამეხმარა ინფორმაციის სრულყოფაში, მის მიერ მონოდებული მასალის საშუალებით. მოულოდნელი იყო ჩემთვის ის, რომ ბალანთის შესახებ არქეოლოგიის ძალიან დიდი მასალა იყო დაცული. ამასთან, წარმოდგენილი იყო ოთხ ენაზე – ქართულ, რუსულ, სომხურ და ოსმალურ ენაზე. მადლობა ასეთი ლამაზი დღე რომ მაჩუქეთ.

შეხვედრის დასასრულს, სიტყვა დაეთმო წიგნის რედაქტორს **გოგიტა მელიქიძეს**: **წიგნს თუ ჰყავს დღეს პატრონი, ჰყავს საზოგადოების ის განათლებული ნაწილი, რომლისთვისაც აზროვნება აუცილებელია და ფასი უნდა ჰქონდეს. წიგნის ავტორი არ არის ისტორიკოსი. ის ამ წიგნთან მიიყვანა მხოლოდ და მხოლოდ თავისი ფესვების სიყვარულმა. წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გენეოლოგიურ სქემებს. ამ სქემების მიღმა დიდი ისტორიები ადამიანების. პრეზენტაციაზე გაიფიქრა საფუძვლიანმა რეკონსტრუქციებმა. ეს ხელს შეუწყობს წიგნს, გახდეს სრულყოფილი. მადლობა გვინდა გითხრათ დღევანდელი დღისთვის.**

ლიკა ზაზაშვილი





# დასაქმების ფორუმი ~ 2019

9 მაისს, სტუდენტთა კარიერული ზრდის ცენტრის ორგანიზებით, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის დასაქმების ფორუმი გაიმართა. ფორუმში საქართველოსა და რეგიონში წამყვანმა კომპანიების წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს საშუალება ჰქონდათ, გაცნობოდნენ შრომით ბაზარს, მიეღოთ ამომწურავი ინფორმაცია ვაკანსიებისა და სტაჟირების შესახებ პოტენციური დამსაქმებლებისაგან. ფორუმში 20-ზე მეტმა ორგანიზაციამ მიიღო მონაწილეობა. „ფორუმის საშუალებით სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია დამსაქმებლებისაგან და გაეცნონ რეგიონში არსებული ორგანიზაციების საქმიანობას. ასევე, ისინი მიიღებენ ინფორმაციას ვაკანსიებისა თუ სტაჟირების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ დასაქმების ფორუმი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, უკვე მეორედ იმართება. – გვითხრა კარიერული

ზრდის ცენტრის ხელმძღვანელმა მერი სახამბერიძემ. ფორუმზე მობრძანებულ სტუმრებს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი მაკა ბერიძე მიესალმა. ქალბატონმა მაკამ მაძღვრობა მოახსენა დამსაქმებლებს მობრძანებისა და თანამშრომლობისთვის. პარტნიორ კომპანიებს, 2018 წელს ყველაზე მეტი სტუდენტის დასაქმებისთვის, უნივერსიტეტის მადლობის სიგელი გადასცა. ასეთი დანერგულებები აღმოჩნდნენ ლიბერთი ბანკის ახალციხის ფილიალი, ვორდვიჟნი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტო, სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაცია, ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია, კრედო ბანკი. სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ ვახტანგ მერაბიშვილმა განაცხადა, რომ სამცხე-



ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, სამხარეო ადმინისტრაციას უნივერსიტეტთან აქტიური თანამშრომლობა აქვს: უნივერსიტეტის სტუდენტები სისტემატურად მოდიან სტაჟირებაზე. გვაქვს ერთობლივი პროექტები და რაც მნიშვნელოვანია, სამხარეო ადმინისტრაციის თითქმის ყველა რგოლში, ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები არიან დასაქმებულები. გავსაუბრეთ სტუდენტებს, ავუსაუბრეთ ჩვენი საქმიანობის შესახებ. დაინტერესდნენ სტუდენტები და გვითხრეს, რომ მოგვაკითხავენ.



ჩვენი ორგანიზაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენთან ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მუშაობა და თავისი უნარების მიხედვით, შემოგვთავაზოს სხვადასხვა აქტივობები, ტრენინგები, სხვადასხვა კურსები. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთან ყველა ტრენინგი არის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული. ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები არიან ადმინისტრაციულ ნაწილშიც. ამიტომ, დღეს ჩვენი აქ მოსვლა საინტერესო და მნიშვნელოვანია. ჩვენ გავცაუბრეთ დაინტერესებულ სტუდენტებს და გავაცანით ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობა. – გვითხრა ზრდასრულთა განათლების ცენტრის ხელმძღვანელმა თამარ კაპანაძემ. ახალციხის იუსტიციის სახლის მენეჯერმა შორენა გიგოლაშვილმა სტუდენტებს განუმარტა, რომ იუსტიციის სახლი

სშირად აცხადებს ვაკანსიებსა და სტაჟირების პროგრამებს. აღნიშნა, რომ იუსტიციის სახლში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბევრი კურსდამთავრებული მუშაობს: მოგესხენებათ, იუსტიციის სახლი სთავაზობს მომხმარებლებს როგორც საჯარო, ისე კერძო სერვისებს. ამ ეტაპზე აქტიურად ცხადდება როგორც ვაკანსიები, ისე სტაჟირებები. დაინტერესდნენ სტუდენტები, შეავსეს სივი. იმედია, ბევრ მათგანს ვინილავთ იუსტიციის სახლში სხვადასხვა პოზიციაზე.

დღის მდგომარეობით მეოთხე რანგზე შეგვიძლია, სტუდენტებს შევთავაზოთ დასაქმება, სადაც არ ვითხოვთ სამუშაო გამოცდილებას. ასევე, მემორანდუმის ფარგლებში, ამჟამად, მერიაში 23 სტუდენტი გადის სტაჟირებას. ასეთი თანამშრომლობა ხელს შეუწყობს სტუდენტებს, გაეცნონ მუშაობის სპეციფიკას და შემდგომ დასაქმდნენ მაღალ რანგში. – გვითხრა ახალციხის მერიის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ხელმძღვანელმა ელენე გოგოლაძემ. სტუდენტი გვანცა გელაშვილი მიიჩნევს, რომ მსგავსი ფორუმები სტუდენტებისათვის მნიშვნელოვანია. ბევრი ორგანიზაციის შესახებ მივიღე ინფორმაცია. ძირითადად, ბანკებით და იუსტიციის სახლით დაინტერესდი. შევავსეთ ჩვენი მონაცემები და ველით შემდგომ ქმედებებს. შემდგომი ნაბიჯების თაობაზე დამსაქმებლები და სტუდენტები თავად შეთანხმდნენ. სტუდენტები ერთმანდალს ალბიშნავენ, რომ დამსაქმებელთა ზარებს ისინი დიდი იმედებით ელიან.



# აღიარება საუხეთესო თარგმანისთვის

„გლუბიანი ძოლგა“ – ნოველა სიკეთეზე, პირველი ადგილი, სიგელი და ფულადი ჯილდო. ეს ყველაფერი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის დიანა ვედიაკოვის სახელს უკავშირდება. დიანამ, საქართველოს მასშტაბით, საუკეთესო თარგმანისთვის, პირველი ადგილი დაიკავა. თურქეთის რესპუბლიკის თბილისის საელჩოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში – „თურქული პროზის ნიმუშების საუკეთესო ქართული თარგმანი“, მას წარმატება მოუტანა თანამედროვე თურქი მწერლისა და პოეტის ბესთაბი იაზგანის ნოველამ „ბლებიანი ქოლგა“.

დიანა ვედიაკოვი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტია. მაინორ პროგრამად მან თურქული ფილოლოგია აირჩია. გვითხრა, რომ თურქული ენით, კულტურითა თუ ლიტერატურით ის ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში დაინტერესდა. სანამ უნივერსიტეტში ჩავაბარებდი, ხშირად ვუ-

ყურებდი თურქულ ფილმებს, ვუსმენდი თურქულ სიმღერებს. რადგან თურქული ფილოლოგიის ძირითად სპეციალობაზე იმ დროს მიღება არ იყო, თურქული ენის შესწავლის მიზნით, მაინორ პროგრამად თურქული ფილოლოგია ავირჩიე. – გვითხრა დიანამ და აღნიშნა, რომ თურქულ ენას ძალიან კარგი ლექტიკონები ახსნავლიან. მაღლობას უხდის პროფესორ მაკა შონიას და პრაქტიკული თურქული ენის პედაგოგს ბატონ ოზგურ ჩობანს, რადგან ისინი არ იშურებენ დროსა და ენერგიას, სტუდენტებს მაღალი დონის განათლება რომ მისცენ.

მინდა, ისეთი სამსახური ვნახო, სადაც თურქული ენა გამოიყენება. არ არის გამორიცხული, მომავალში სასწავლებლად თურქეთში წასვლაზეც ვიფიქრო. ჩვენს უნივერსიტეტში მინდა, მაგისტრატურაში გავაგრძელო სწავლა ჩემი ძირითადი სპეციალობით – ისტორიის მიმართულებით. სურვილი მაქვს, შევისწავლო ძველი თურქული ენა. – გვიმხელს სამომავლო გეგმებს დიანა. რაც შეეხება კონკურსს, მასში მონაწილეობა ბატონმა ოზგურმა შესთავა-

ზა. თარგმანისთვის საკონკურსო მოთხოვნაც ერთად შეარჩიეს. იყო ხუთი საპრიზო ადგილი. მოთხოვნამ სიკეთეზე დიანას პირველი ადგილი და ფულადი ჯილდო – 250 ლოლარი, მოუტანა. დაჯილდოების ცერემონია, რომელიც თურქეთის საელჩოში გაიმართა, ესწრებოდნენ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, ლექტორები, იუნუს ემრეს ცენტრის ხელმძღვანელი და თურქეთის ელჩი საქართველოში. დიანას სიგელი და ჯილდო უშუალოდ თურქეთის ელჩმა საქართველოში, ქალბატონმა ფატმა ჯენერმა გადასცა. ქალბატონმა ელჩმა სიტყვით გამოსვლაში ხაზი გაუსვა ქართველი ახალგაზრდების მხრიდან თურქული ენის ასეთ მაღალ დონეზე შესწავლას და აღნიშნა, რომ ასეთი ურთიერთობები კიდევ უფრო დაახლოვებს და გააღრმავებს ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას. დაჯილდოების ცერემონიამ საინტერესოდ და შთაბეჭდავა და ჩაიარა. – გვითხრა დიანამ.

უნდა აღინიშნოს, რომ კონკურსში, ასევე, მონაწილეობა მიიღო ინგლისური



ფილოლოგიის მეოთხე კურსის სტუდენტმა ხაიალა გუსეინოვამ, რომელიც თურქული ფილოლოგიის მაინორ პროგრამის მეოთხე კურსის წარჩინებული სტუდენტია. ხაიალამ ქართულად თარგმნა იუსუფ ფურსუნის ნაწარმოები „მესამე თვალი“ და მან მეოთხე ადგილი დაიკავა. გაზეთის რედაქცია დიანას ულოცავს წარმატებას, ასევე, ოჯახის შექმნას მის რჩეულთან – გიორგი ტაბატაძესთან ერთად და ბედნიერ ცხოვრებას უსურვებს.

გვერდი მოამზადა ლიკა ზაზაშვილმა

